



**რეგიონული ტელევიზიების მონიტორინგი**  
**2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საქართველოში**

**პროექტი # S-14-108**

**საანგარიშო პერიოდი: 12 მაისი - 15 ივნისი, 2014 წელი**

**მონიტორინგის ძირითადი მიგნებებია:**

- 2012-2013 წლებთან შედარებით, რეგიონული მაუწყებლები მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას დიდ დროს უთმობდნენ;
- ტელეკომპანიათა უმეტესობაზე სუბიექტების შესახებ მომზადებული მასალები ინფორმაციული იყო და თემები სიღრმისეულად არ შუქდებოდა;
- 2-15 ივნისის პერიოდში ტელეკომპანიათა ნაწილმა საარჩევნო თემატიკის გაშუქებას უფრო მეტი დრო დაუთმო. აქტიურად შუქდებოდა კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიები;
- ტელეკომპანიათა უმრავლესობამ საარჩევნო სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო დაუთმო: კოალიცია „ქართულ ოცნებას“, ბლოკ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, ბლოკ „ბურჯანაძე - ერთიან ოპოზიციას“ და მათი მერობის კანდიდატებს;
- 2012-2013 წლებთან შედარებით, ტელეკომპანიათა ნაწილი ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის გაშუქებას ნაკლებ დროს უთმობდა. თუმცა მათი გაშუქება, ძირითადად, ისევ ნეიტრალურ ტონში ხდებოდა;
- მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი დრო პირდაპირ და ირიბ საუბარზე თითქმის თანაბრად ნაწილდებოდა;
- მონიტორინგის სუბიექტების გაშუქება, უმეტესწილად, ნეიტრალურ ტონში ხდებოდა;
- ტელეკომპანიათა უმეტესობა არჩევნების დღეს (15 ივნისს) საგანგებო რეჟიმში მუშაობდა და მაყურებელს საარჩევნო უბნებზე შექმნილი სიტუაციის შესახებ ინფორმაციას აწვდიდა. საარჩევნო კვირაში (9-15 ივნისი) მკვეთრად მოიმატა ცენტრალური საარჩევნო კომისიის გაშუქებამ;
- ტელეკომპანიების ნაწილს 15 ივნისამდე, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, მოახლოებული არჩევნებისა და მასში მონაწილე სუბიექტების შესახებ შემაჯამებელი მასალები არ მოუმზადებია;
- ტელეკომპანიებმა სხვადასხვა პოზიციებზე (მერი, გამგებელი, პროპორციული სიის და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი) თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე კანდიდატების მონაწილეობით და საარჩევნო თემებზე სხვადასხვა ფორმატის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები (თოქ-შოუ, ტელედებატი, ტელეხიდი) მოამზადეს;
- გადაცემებში მიწვეულ სტუმრებს შორის პოლიტიკური ბალანსი, ძირითადად, დაცული იყო. თუმცა, გამონაკლისი შემთხვევებიც დაფიქსირდა, როცა ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები გადაცემაში მონაწილეობაზე უარს აცხადებდნენ;

- გადაცემების წამყვანები საკუთარ მოსაზრებებს ნაკლებად აფიქსირებდნენ და, ძირითადად, მოდერატორის ფუნქციას ასრულებდნენ;
- ტელეკომპანიათა უმრავლესობაზე თოქ-შოუებში დასმული კითხვები ხშირად ერთმანეთის მსგავსი იყო. ჟურნალისტები კრიტიკულ კითხვებს ნაკლებად სვამდნენ;
- ტელეკომპანიათა უმრავლესობაზე თოქ-შოუების წამყვანები თავს არ წარადგენდნენ;
- თოქ-შოუების ინტერაქტიულობის გამო, მაყურებელს დისკუსიაში ჩართვისა და გადაცემების სტუმრებისთვის კითხვის დასმის შესაძლებლობა ჰქონდა;
- ტელეკომპანიათა უმრავლესობის გადაცემების მთავარი ტექნიკური ხარვეზი სათანადო ტიტრების არქონა იყო;
- სიძულვილის ენის გამოყენების იშვიათი ფაქტები ძირითადად რესპონდენტების მხრიდან დაფიქსირდა;
- მონიტორინგის განმავლობაში არ გამოვლენილა კადრებით/ხმით/მუსიკით მანიპულირების შემთხვევები;
- რეგიონულ ტელემაუწყებელთა სადამოს ეთერში გასულ გადაცემებში „ფარული პოლიტიკური რეკლამის“ ნიშნები არ გამოვლენილა.

ანგარიში წარმოადგენს „ინტერნიუსი - საქართველოს“ მონიტორინგის ორგანიზაციის მიერ 2014 წლის 12 მაისი - 15 ივნისის მანძილზე ჩატარებული კვლევის შემაჯამებელ შედეგებს.

მედიის მონიტორინგი ხელს უწყობს მისი პროფესიული სტანდარტის ზრდას და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის განვითარებას.

ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონული ტელემაუწყებლების სადამოს ეთერში (19:00 - 24:00 სთ.) გასულ საინფორმაციო გამოშვებებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებზე დაკვირვებით გამოვავლინოთ რეგიონული ტელემაუწყებლების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმდინარეობა და ტენდენციები.

### ანალიზი და მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა საქართველოს 16 რეგიონულ ტელემაუწყებელზე: „25-ე არხი“ (ქ. ბათუმი), „რიონი“ (ქ. ქუთაისი), „ქვემო ქართლის ტელეკომპანია“ (ქ. რუსთავი), „ოდიში“ (ქ. ზუგდიდი), „თანამგზავრი“ (ქ. თელავი), „მე-9 არხი“ (ქ. ახალციხე), „თრიალეთი“ (ქ. გორი), „გურია“ (ქ. ოზურგეთი), „იმერვიზია“ (ქ. ჭიათურა), „გურჯაანი“ (ქ. გურჯაანი), „მეგა ტვ“ (ქ. ხონი), „მე-9 ტალა“ (ქ. ფოთი), „არგო“ (ქ. ზესტაფონი), „მარნეული ტვ“ (ქ. მარნეული), „ბორჯომი“ (ქ. ბორჯომი), „დია“ (ქ. ხაშური).

დაკვირვება მიმდინარეობდა რეგიონული ტელემაუწყებლების სადამოს (ე.წ. „პრაიმ-ტაიმის“, როდესაც მაყურებელთა რაოდენობა პიკს აღწევს) გადაცემებზე: საინფორმაციო გამოშვებებზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებსა და თოქ-შოუებზე.

### **საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგი**

მონიტორინგის მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორცაა ეთიკური ან პროფესიული სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია. კერძოდ, ყურადღება ექცევა ინფორმაციის დამახინჯებას, დაუბალანსებელ გაშუქებას, ტენდენციურობას და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს ეთერში გასული იმ სიუჟეტების ქრონომეტრაჟს (წამი), რომლებიც ჩვენს მიერ შერჩეული სუბიექტების შესახებ მომზადდა ან სადაც ისინი ნახსენები იყვნენ. დრო ითვლება, როდესაც სუბიექტზე საუბრობს საინფორმაციო გამოშვების წამყვანი, სიუჟეტის ჟურნალისტი ან სიუჟეტის ნებისმიერი რესპონდენტი. ასევე ითვლება დრო, როდესაც სუბიექტი უბრალოდ ჩანს ეკრანზე, ან ჩანს მისი ფოტო, პლაკატი ან სხვა ნებისმიერი ვიზუალური მასალა (იმ შემთხვევაში, თუ ამ დროს მასზე არ საუბრობენ).

მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე სხვები (ჟურნალისტი ან რესპონდენტი) საუბრობენ. იმ შემთხვევებში, როდესაც მონიტორინგის სუბიექტები თავად საუბრობენ (ისმის ხმა) დრო ითვლება, როგორც პირდაპირი გაშუქება; როდესაც სუბიექტებზე საუბრობენ სხვები, ჟურნალისტები ან რესპონდენტები, დრო ითვლება, როგორც ირიბი გაშუქება.

გაშუქების ტონი ენიჭება მონიტორინგის ყველა სუბიექტს. ტონის შესაფასებლად არსებობს სამი კატეგორია: დადებითი, ნეიტრალური და უარყოფითი. ყოველთვის, როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ფასდება ტონიც, ანუ რაოდენობრივად ითვლება, რამდენი წამის/წუთის განმავლობაში საუბრობდნენ ამა თუ იმ სუბიექტზე კონკრეტული ტონით. ტონის შეფასებისას ყურადღება ექცევა არა მხოლოდ ტექსტის შინაარსს, არამედ კონტექსტსაც.

თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მოხდება მედიის მუშაობის ეფექტურობის ეთიკური და პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით შეფასება. თვისებრივი ნაწილი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორცაა: ბალანსი, მიუკერძოებლობა, სიზუსტე (არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში), ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, ახალი ამბების იგნორირება, მოვლენების დროული გაშუქება, ჟურნალისტის ლექსიკა, „ფარული პოლიტიკური რეკლამის“ გამოყენების ფაქტები და ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც არ იზომება რაოდენობრივად. ასევე ყურადღება ექცევა კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს.

მონიტორინგის სუბიექტები არიან: პარლამენტის თავმჯდომარე, დამოუკიდებელი დეპუტატები, პრეზიდენტი, მთავრობა, პრემიერ-მინისტრი, ცენტრალური საარჩევნო კომისია, ადგილობრივი ხელისუფლება (დაკონკრეტების გარეშე), აჭარის მთავრობა, საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (*ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია*), კოალიცია „ქართული ოცნება“ (*ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, თავისუფალი დემოკრატები, ეროვნული ფორუმი, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, საქართველოს კონსერვატიული პარტია, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს*), საარჩევნო ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“ (*თავისუფალი საქართველო, ახალი მემარჯვენეები*), საარჩევნო ბლოკი „ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“ (*დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო, ქართული დასი, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, ტრადიციონალისტთა კავშირი, მემარცხენე ალიანსი*), ბლოკი „თვითმმართველობა ხალხს“ (*ევროპელი დემოკრატები, სამართლიანი საქართველოსთვის*), ხალხის პარტია, საქართველოს გზა, ალიანსი „ევროატლანტიკური არჩევანი“ (*ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის, ქრისტიან-დემოკრატიული პარტია, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, მერაბ კოსტავას საზოგადოება, საქართველოს ქალთა პარტია*), ლეიბორისტული პარტია, მწვანეთა პარტია, ქართული პარტია, ასევე თითოეული საარჩევნო ბლოკის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური ძალის მერობის კანდიდატები ცალკე-ცალკე, აგრეთვე საკრებულოს დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატები.

**მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:**

**„25-ე არხი“ (ქ. ბათუმი)** - „25-ე არხის“ საინფორმაციო გამოშვება „მაცნე“ ეთერში ყოველდღიურად გადაიცემოდა. კვირაობით ახალი ამბები მაყურებელს წამყვანის გარეშე მიეწოდებოდა. გამოშვებებში, ძირითადად, ადგილობრივი ახალი ამბები შუქდებოდა.

მთლიანად ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გაშუქებას შედარებით ნაკლები დრო ეთმობოდა.

არხმა მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 6 საათი და 17 წუთი დაუთმო. აქედან, ყველაზე მეტი დრო კოალიცია „ქართული ოცნების“ (17%) და ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (12%) გაშუქებას დაეთმო. საერთო დროის 12-12% დაეთმოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას და ადგილობრივ ხელისუფლებას (გამგებლები, საკრებულოს წევრები, სოფლის რწმუნებულები). არხმა ბათუმის მერობის კანდიდატების წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებას ბევრად ნაკლები დრო დაუთმო.

სუბიექტებზე პირდაპირი/ირიბი საუბრის პროცენტული მაჩვენებლები თითქმის თანაბრად გადანაწილდა. მათ მიმართ სამივე ტონი გამოვლინდა, თუმცა ნეიტრალური სჭარბობდა. დადებითი ტონი, ძირითადად, წინასაარჩევნო შეხვედრების დროს პოლიტიკოსების მიერ გაცემული დაპირებებით აიხსნება, ხოლო უარყოფითი ტონი მათ მიერ ოპონენტების მისამართით გაკეთებული კრიტიკული განცხადებებით.

პოლიტიკური თემების გარდა, სიუჟეტები მოსახლეობის პრობლემების, სპორტული და კულტურული ღონისძიებების შესახებაც მზადდებოდა. ჟურნალისტები მოსახლეობის პრობლემებით ხშირად ინტერესდებოდნენ და ამ თემების ირგვლივ სიღრმისეულ სიუჟეტებს ამზადებდნენ. ისინი ცდილობდნენ ინფორმაცია განსხვავებული კუთხით წარმოედგინათ და პასუხისმგებელი პირების კომენტარებით გაემყარებინათ.


თვითმმართველობის არჩევნებისა და საარჩევნო სუბიექტების აქტივობების შესახებ სიუჟეტები ხშირად კეთდებოდა, თუმცა წარმოდგენილი მასალები, ძირითადად, მოსახლეობასთან შეხვედრებს და პარტიების წინასაარჩევნო დაპირებებს შეეხებოდა. კანდიდატების პროგრამების შესახებ მაყურებელს სიღრმისეული ინფორმაცია ნაკლებად მიეწოდებოდა.

გადაცემებში ჟურნალისტების მხრიდან არ გამოვლენილა ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები, თუმცა 28 მაისის გამოშვებაში რესპონდენტის მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევა დაფიქსირდა: ეთერში გავიდა ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ძველი ბათუმის მაჟორიტარობის კანდიდატ ირაკლი თავართქილაძის ინტერვიუ, რომელშიც მან პრემიერ-მინისტრს „ჰაკიმ-ფაშა“ უწოდა.

არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე, არხზე მკვეთარდ მოიმატა კოალიცია „ქართული ოცნების“ ნეგატიური გაშუქების მაჩვენებელმა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარის, მედეა ვასაძის მიერ არხის ჟურნალისტ ჯაბა ანანიძის მიმართ მუქარის ფაქტის დაფიქსირებისა და მისი თანმდევი მოვლენების გაშუქებით. აქვე უნდა აღინშნოს, რომ არჩევნებამდე ორი დღით

აღრე, 13 ივნისს არხმა პროტესტის ნიშნად, ერთი დღით მაუწყებლობა შეწყვიტა. ტელეკომპანიის ხელმძღვანელობის და ჟურნალისტების განცხადებით ისინი იძულებულნი გახდნენ პროტესტის რადიკალური ზომებისთვის მიემართათ, რადგან მათ მიმართ განხორციელებული ზეწოლისა და შეურაცხყოფის ფაქტებს სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია.

15 ივნისს, თვითმმართველობის არჩევნების დღეს, არხზე შემაჯამებელი საინფორმაციო გამოშვება მომზადდა, სადაც აჭარის რეგიონის სხვადასხვა საარჩევნო უბანზე არსებულ სიტუაციას მიმოიხილავდნენ. წარმოდგენილი იყო მასალები საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებული დარღვევების შესახებ, აგრეთვე დამკვირვებელთა კომენტარები.



„რიონი“ (ქ. ქუთაისი) - მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანია „რიონის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვება „დღის ამბები“ ეთერში ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით გადიოდა. საინფორმაციო გამოშვებებში ოპერატიულად შუქდებოდა როგორც ადგილობრივი სიახლეები, აგრეთვე მთლიანად ქვეყანაში განვითარებული მნიშვნელოვანი მოვლენები.

კვირას მაყურებელს საშუალება ჰქონდა ტელეჟურნალი „7 დღე“ ენახა. ტელეჟურნალის ქრონომეტრაჟი 50-60 წუთი იყო. „7 დღის“ ჯგუფი მაყურებელს ანალიტიკურ, სიღრმისეულ მასალებს სთავაზობდა. ტელეჟურნალში, მეტწილად, სოციალური თემები და ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემები შუქდებოდა, თუმცა არჩევნების დღეს, 15 ივნისს გადაცემაში

უფრო მეტად პოლიტიკური თემები გაშუქდა. ტელეჟურნალში გავიდა პროექტ „ფაქტ-მეტრის“ მასალებიც. პროექტის ფარგლებში მომზადებულ სიუჟეტებში პოლიტიკოსების გამონათქვამების სიზუსტე მოწმდებოდა. ჟურნალისტი მყარი არგუმენტებისა და ექსპერტების შეფასებების საფუძველზე აკეთებდა დასკვნას, პოლიტიკოსების განცხადებები მართალი იყო თუ მცდარი.

15 ივნისს, არჩევნებთან დაკავშირებით, „რიონის“ საინფორმაციო გამოშვების ჟურნალისტები საგანგებო რეჟიმში მუშაობდნენ. მაყურებელს საშუალება ჰქონდა რეგიონსა და ქვეყანაში მიმდინარე საარჩევნო პროცესების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიეღო.

საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს 12 საათი და 33 წუთი დაეთმო. ამ დროის 21% კოალიცია „ქართული ოცნების“, ხოლო 13% მთავრობის გაშუქებაზე მოდიოდა. საინფორმაციო გამოშვებებში ქუთაისის მერობის შვიდივე კანდიდატს დაეთმო დრო, თუმცა იგი მათზე არათანაბრად იყო გადანაწილებული. ყველაზე მეტი გაშუქება კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატ შოთა მურღულიას ჰქონდა (1 სთ. 21 წთ.). მას 49 წუთით მოჰყვებოდა თეიმურაზ შაშიაშვილი (ბლოკი „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“), 22 წუთი დაეთმო გიორგი თევდორაძეს (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), 15 წუთი - ხათუნა მაჭავარიანს (ბლოკი „თვითმმართველობა ხალხს“), 6 წუთი - მაგდა გაბრიჩიძეს (ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“), 5 წუთი - ალექსანდრე კეზევაძეს („საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“) და 4 წუთი - ირაკლი კიკვაძეს („ლეიბორისტული პარტია“). მათი გაშუქება, ძირითადად, დადებითი და ნეიტრალური იყო. კანდიდატებს პირდაპირი საუბრისთვის დათმობილი დროის საშუალოდ 60% ეძლეოდათ. „რიონის“ ეთერში მონიტორინგის თითქმის ყველა სუბიექტი, უფრო მეტად პირდაპირ შუქდებოდა, ვიდრე ირიბად.

არხი აშუქებდა როგორც მერობის კანდიდატების, ასევე სხვა საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრებს და აქტივობებს. თითქმის ერთი საათი დაეთმოთ მაჟორიტარი დეპუტატობის დამოუკიდებელ კანდიდატებს. თუმცა, ამ დროის დიდი წილი, ძირითადად ერთ კანდიდატზე, ქალაქ-მუზეუმის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გიორგი ხაზარაძეზე მოდიოდა. გიორგი ხაზარაძის ამომრჩევლებთან შეხვედრებს ტელეკომპანია „რიონი“ აქტიურად, პოზიტიურ კონტექსტში აშუქებდა. სიუჟეტებში ჟურნალისტი ამომრჩევლების ფრაზებს ციტირებდა, რაც კანდიდატის მიმართ დადებით განწყობას ქმნიდა. ეთერში წინასაარჩევნო შეხვედრაზე მყოფი ზედიზედ რამდენიმე მოქალაქის პოზიტიური სინქრონი გადიოდა, ზოგჯერ სიუჟეტებში რამდენიმე წამის განმავლობაში მთელ ეკრანზე ჩანდა კანდიდატის საარჩევნო ნომერი, 42. მსგავსი სიუჟეტი სხვა პოლიტიკური სუბიექტის მიმართ არ მომზადებულა.




პოლიტიკურ ძალთა წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების დროს გამოვლინდა ბალანსის დარღვევის ცალკეული შემთხვევებიც. მაგალითად, 19 მაისის გამოშვებაში კოალიცია „ქართული ოცნების“ ქუთაისის მერობის კანდიდატ შოთა მურღულიას თითქმის ყველა წინასაარჩევნო აქტივობა გაშუქდა.

საინფორმაციო გამოშვებებში ახალი ამბები ზედაპირულად შუქდებოდა. ჟურნალისტები კრიტიკული კითხვების დასმით არ გამოირჩეოდნენ. მათი მხრიდან, ცალკეული შემთხვევების გარდა, სუბიექტური შეფასებების გაკეთების ფაქტები არ დაფიქსირებულა.

პოლიტიკური თემების პარალელურად ჟურნალისტები მნიშვნელოვან დროს უთმობდნენ სოციალური თემატიკის გაშუქებას. ამ თემების გაშუქებისას ისინი ცდილობდნენ მაყურებლისთვის უფრო ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდებინათ. ფაქტები გამყარებული იყო წინასტორიითა და რესპონდენტთა კომენტარებით.

ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვებებში არ დაფიქსირებულა ხმით/ მუსიკით მანიპულირების შემთხვევები; არ დაფიქსირებულა ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტები.



„ქვემო ქართლის ტელეკომპანია“ (ქ. რუსთავი) – მონიტორინგის პერიოდში არხის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკა“ ეთერში ყოველდღე 20:30 საათზე გადიოდა. დღის ბოლოს, დაიჯესტში რამდენიმე სიუჟეტი მეორდებოდა. კვირა საღამოს კი ეთერი შემაჯამებელ გამოშვებას ეთმობოდა. არხი აქტიურად აშუქებდა სხვადასხვა პარტიის


მერობის, გამგებლობისა და საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიებს და პოლიტიკური პარტიების აქტივობებს, კულტურულ თუ სპორტულ ღონისძიებებს.

ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის 28 სუბიექტი გაშუქდა. მათ ჯამში 15 საათი და 38 წუთი დაეთმოთ. მიუხედავად პოლიტიკური სუბიექტების მრავალფეროვნებისა, დრო მათ შორის არათანაბრად იყო განაწილებული. დროის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სამთავრობო გუნდის (3 სთ.) და რუსთავის მერობის მათი კანდიდატის, დავით ჯიქიას (2 სთ.) მიმართ დაფიქსირდა. ბლოკ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და მერობის მათ კანდიდატ მამუკა ჩიქოვანს ჯამში 3 საათი დაეთმოთ. 56-56 წუთით „საქართველოს გზისა“ და „ჩვენ საქართველოს“ მერობის კანდიდატები, ალექსანდრე კობაიძე და ეროსი კიწმარიშვილი იყვნენ წარმოდგენილნი. 38 წუთი ივანე შათირიშვილს, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მერობის კანდიდატს დაეთმო, ხოლო 31 წუთი - კობა ძლიერიშვილს (ბლოკი „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“). სიუჟეტებში აქცენტი კანდიდატების პროგრამულ პრიორიტეტებზე კეთდებოდა, იმაზე თუ რას გააკეთებენ ისინი ქალაქისთვის, ამიტომ გაშუქების ტონის დიაგრამაზე დადებითი და ნეიტრალური მაჩვენებლები სჭარბობს.

ჟურნალისტები კანდიდატების საარჩევნო პროგრამების შესახებ სიღრმისეულ სიუჟეტებს არ ამზადებდნენ და კრიტიკულ კითხვებს ნაკლებად სვამდნენ. მასალების უმეტესობა ერთგვაროვანი იყო და ფაქტებს მშრალად აღწერდა. სუბიექტ „მთავრობის“ მიმართ 41% - იანი ნეგატიური გაშუქება ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების კრიტიკული და მწვავე შეფასებებით იყო გამოწვეული.

მონიტორინგის პერიოდში, ჟურნალისტების მხრიდან სუბიექტური გაშუქების შემთხვევები არ გამოვლენილა. ისინი ცდილობდნენ მოვლენები მიუკერძოებლად, ეთიკის ნორმების დაცვით გაეშუქებინათ. თუმცა, მონიტორინგის დროს გამოვლინდა სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევა: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რუსთავის მერობის კანდიდატმა, მამუკა ჩიქოვანმა ხელისუფლებაზე, პრემიერ-მინისტრზე ნეგატიურ კონტექსტში საუბრისას სიტყვა „ჰაკიმ-ფაშა“ გამოიყენა.

15 ივნისს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღეს, ტელეკომპანიის სადამოს ეთერში ახალი ამბების ორი სპეციალური გამოშვება გავიდა, რომლებიც მთლიანად არჩევნების წინასწარ შედეგებს, საარჩევნო უბნებზე მიმდინარე მოვლენებს, მოსახლეობის აქტივობასა და ოლქებში დაფიქსირებულ დარღვევებს შეეხებოდა; მომზადდა სიუჟეტი, სადაც ნაჩვენებია იყო ქალაქ რუსთავის მერობის ცხრავე კანდიდატის ხმის მიცემის პროცესი და მათი კომენტარები.



„ოდიში“ (ქ. ზუგდიდი) – მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანია „ოდიშის“ ეთერში 10-15 წუთიანი მთავარი საინფორმაციო გამოშვება „დრო“ ყოველდღე 22 საათზე გადიოდა. საინფორმაციო გამოშვებები მაყურებელს, ძირითადად, ადგილობრივ ამბებს აცნობდა. ქვეყანაში განვითარებული მოვლენები არხის ეთერში „ინფოლენტის“ სახით გადაიცემოდა, რომელიც სადამოს ეთერში 2-3-ჯერ გადიოდა. „ინფოლენტში“ პოლიტიკოსების და საზოგადო მოღვაწეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს მოკლე ტექსტის სახით აჩვენებდნენ. ციტატასთან ერთად ეკრანზე ხშირად მისი ავტორის ფოტოც ჩანდა. არხი მაყურებელს უცხოეთის ამბებსაც „ინფოლენტით“ აცნობდა.


არხმა მონიტორინგის სუბიექტებს 4 საათი და 40 წუთი დაუთმო. აქედან ყველაზე მეტი დრო კოალიცია „ქართულ ოცნებას“ (21%), ბლოკ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (20%) და მთავრობას (14%) ხვდათ წილად. სუბიექტები, ძირითადად, ნეიტრალურად შუქდებოდნენ, თუმცა კოალიცია „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებელიც გამოვლინდა. რესპონდენტების მხრიდან კრიტიკული შეფასებები მთავრობის (28%) და პრემიერ-მინისტრის (29%) მიმართაც ისმოდა.

ზოგჯერ, ეს ბრალდებები ჟურნალისტების მხრიდან, დასაბუთებული და წყაროთა კომენტარებით გამყარებული არ იყო.

საინფორმაციო გამოშვებებში თითქმის თანაბრად გაშუქდა ზუგდიდის მერობის ოთხივე კანდიდატი. მათთვის დათმობილი დრო 11-დან 8 წუთამდე მერყეობდა. არხი აქტიურად აშუქებდა რეგიონში მოქმედი პარტიების გამგებლობისა და საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატების, აგრეთვე არასამთავრობო სექტორის აქტივობებს, სხვადასხვა კულტურულ თუ სპორტულ ღონისძიებებს.

15 ივნისს, არჩევნების დღეს არხზე მომზადდა ვრცელი საინფორმაციო გამოშვება, სადაც წარმოდგენილი იყო დღის განმავლობაში საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებული დარღვევები, კანდიდატების მიერ ხმის მიცემის პროცესი და არჩევნების წინასწარი შედეგები.

არხის საინფორმაციო გამოშვებებში მთლიანობაში დაბალანსებული ინფორმაცია გადიოდა. ჟურნალისტები მოვლენებს მიუკერძოებლად, სუბიექტური შეფასებების გარეშე გადმოსცემდნენ. არ დაფიქსირებულა სიძულვილის ენის გამოყენების და კადრებით/ ხმით მანიპულირების შემთხვევები.



„მე-9 არხი“ (ქ. ახალციხე) - ტელეკომპანია „მე-9 არხის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვება „ექო“ ეთერში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით გადიოდა. კვირას კი, „კვირის ექოში“, რომელსაც წამყვანი არ ჰყავდა, მაყურებელს საშუალება ჰქონდა კვირის მანძილზე, მნიშვნელოვან თემებთან დაკავშირებით, მომზადებული სიუჟეტები განმეორებით ენახა.

ტელეკომპანია „მე-9 არხი“ აქტიურად აშუქებდა ადგილობრივ ამბებს: არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიებისა და სუბიექტების აქტივობებს, ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებს, სპორტულ, კულტურულ და სხვა სახის ღონისძიებებს. რუბრიკაში „საქართველოს ამბები“ ქვეყანაში განვითარებული მოვლენები იყო გაშუქებული. საინფორმაციო გამოშვების გუნდს სწორად ჰქონდა შერჩეული თემები, რომლებიც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს შეეხებოდა. აქცენტი მნიშვნელოვან საკითხებზე კეთდებოდა.

მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანია „მე-9 არხმა“ სუბიექტებს ჯამში 5 საათი და 34 წუთი დაუთმო. ამ დროის 17% მთავრობის გაშუქებაზე მოდიოდა, 12% - ადგილობრივი ხელისუფლების, 11 და 10% ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაეთმო.


ახალციხის მერობის კანდიდატებიდან ყველაზე მეტი დრო (20 წთ.) ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატ გელა დემეტრაძეს დაეთმო, მას 17 წუთით მოჰყვება კოალიციის კანდიდატი გიორგი კოპაძე.

არხზე სუბიექტების ირიბი გაშუქების მაჩვენებელი პირდაპირს სჭარბობდა. ასევე მაღალი იყო სუბიექტებისთვის ნეიტრალურ ტონში დათმობილი დრო.

ჟურნალისტებს თემები ამომწურავად ჰქონდათ მომზადებული, წარმოდგენილი ჰყავდათ ყველა მხარე. მაგალითად, 11 ივნისის სიუჟეტში, სადაც საუბარი იყო მმართველი გუნდის მიერ წინასაარჩევნოდ სახელისუფლებო რესურსის გამოყენებაზე, ჟურნალისტმა დასახელებული ფაქტის სიზუსტე გადაამოწმა და დამატებითი კომენტარები წარმოადგინა.

15 ივნისის, არჩევნების დღის, საინფორმაციო გამოშვებაში რეგიონის საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებული დარღვევების ფაქტები დეტალურად გაშუქდა, რის გამოც მკვეთრად მოიმატა ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის დათმობილმა დრომ. ამავე გამოშვებაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი: სომხურენოვანი ამომრჩევლის ინტერვიუს არ ახლდა ქართული თარგმანი.

მონიტორინგის პერიოდში, საინფორმაციო გამოშვებებში გვხვდებოდა „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ მიერ მომზადებული სიუჟეტები, აგრეთვე ტელეკომპანია „ბორჯომის“ მიერ მიწოდებული მასალები.



„თანამგზავრი“ (ქ. თელავი) - ტელეკომპანია „თანამგზავრის“ დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „ახალი ამბები“ ეთერში ორშაბათი-პარასკევის ჩათვლით გადიოდა. ტელეკომპანიის დაახლოებით 35 წუთიან საინფორმაციო გამოშვებას ჰყავდა წამყვანი და სადამოს ეთერში ორჯერ მეორდებოდა. „ახალი ამბების“ პირველ ნაწილში რეგიონში მომხდარი ახალი ამბები იყო გაშუქებული, მეორე ნაწილში - ქვეყნის მთავარი ამბები და უცხოეთის სიახლეები. გამოშვებებში ადგილობრივ და ქვეყნის მთავარ თემებს დრო თითქმის თანაბრად ეთმობოდა. ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გაშუქებისას რესპონდენტების სინქრონები შედარებით გრძელი იყო, ვიდრე ადგილობრივი ამბების დროს. პოლიტიკური თემების გარდა ტელეკომპანია სიუჟეტებს რეგიონისთვის აქტუალურ სოციალურ, ეკონომიკურ საკითხებსა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პრობლემებზეც ამზადებდა.

ტელეკომპანია „თანამგზავრმა“ მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 9 საათი და 33 წუთი დაუთმო. მონიტორინგის სუბიექტები, ძირითადად, ნეიტრალურად შუქდებოდნენ და პირდაპირი და ირიბი საუბრისთვის დრო თითქმის თანაბრად ეთმობოდათ. ჯამში 3 საათი და 44 წუთი მთავრობის და პრემიერ-მინისტრს აქტივობების გაშუქებას დაეთმო. ამ დროის საშუალოდ 60% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა.

არხმა საათი და 23 წუთი ადგილობრივ ხელისუფლებას დაუთმო. ადგილობრივი ხელისუფლების ნეგატიურად (23%) გაშუქება არსებულ პრობლემებზე მომზადებულმა სიუჟეტებმა გამოიწვია, რომლებშიც მოსახლეობა მათ უმოქმედობაზე საუბრობდა.

არჩევნებში მონაწილე სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო (1 სთ. 3 წთ.) კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაეთმო. მას ნეგატიური გაშუქების ყველაზე მაღალი (28%) მაჩვენებელი აქვს, რაც ძირითადად, მათი ოფისის წინ ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციისა“ და ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ აქციამ და „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ თელავის მერობის კანდიდატის, გიორგი მოსიაშვილის მიერ კოალიციის ადგილობრივი ორგანიზაციის დაფინანსებაზე გამოთქმულმა ბრალდებებმა განაპირობა.

დათმობილი დროის (1 სთ. 3 წთ.) 17% ნეგატიურად გაშუქდა ცენტრალური საარჩევნო კომისიასაც. 19 მაისის საინფორმაციო გამოშვებაში „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ წარმომადგენელი ცესკოს საუბნო საარჩევნო კომისიის წარმომადგენელს კოალიცია „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ ზეწოლაში ადანაშაულებდა (ნაჩვენები იქნა ფარული ჩანაწერი).


ქალაქ თელავის მერობის კანდიდატებიდან ყველაზე ხშირად გაშუქებული „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ კანდიდატი გიორგი მოსიაშვილი იყო. 7 წუთი დაეთმო ალექსი ძულიაშვილს (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), 4 წუთი - ზაზა დევიძეს („საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“), 3-3 წუთი - თამაზ არჯევანიძეს (ბლოკი „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“) და პლატონ კალმახელიძეს (კოალიცია „ქართული ოცნება“). ისინი, ძირითადად, პირდაპირი საუბრით შუქდებოდნენ.

ტელეკომპანია „თანამგზავრის“ ჟურნალისტები ახალ ამბებს მიუკერძოებლად გადმოსცემდნენ. სიუჟეტები, ძირითადად, დაბალანსებული იყო. თუმცა, იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სიუჟეტში მეორე მხარის პოზიცია ნაჩვენები არ იყო. მაგალითად, 12 ივნისის „ახალ ამბებში“ საარჩევნო ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ გურჯაანის გამგებლობის კანდიდატი ხელისუფლებას და მმართველ გუნდს საგარეჯოში პატიმრების ოჯახებზე ზეწოლაში, ხოლო ახმეტაში, გურჯაანსა და ლაგოდეხში წინასარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში ადანაშაულებდა. სიუჟეტში ჟურნალისტს კოალიცია „ქართული ოცნების“ პოზიცია წარმოდგენილი არ ჰქონდა. 10 ივნისის საინფორმაციო გამოშვებაში იგივე კანდიდატი ბლოკ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ სააგიტაციო მასალების დაზიანებაში ადანაშაულებდა. არც ამ სიუჟეტში იყო ნაჩვენები მეორე მხარის კომენტარი.

15 ივნისს, თვითმმართველობის არჩევნების დღეს, „თანამგზავრმა“ სადამოს ეთერში ორი საინფორმაციო გამოშვება გაუშვა, რომლებიც მხოლოდ არჩევნების მიმდინარეობის

გაშუქებას დაეთმო. ნაჩვენები იყო როგორც რეგიონში, ისე მის გარეთ მიმდინარე საარჩევნო პროცესები, ასევე სხვადასხვა დარღვევის ფაქტები.

საინფორმაციო გამოშვებებში „ფარული პოლიტიკური რეკლამის“ გამოყენების და ეთიკური ნორმების დარღვევის ფაქტები არ გამოვლენილა; არც მუსიკით ან კადრებით მანიპულაციას ჰქონია ადგილი.



„თრიალეთი“ (ქ. გორი) – მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანიის ეთერში დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „ახალი ამბები თრიალეთზე“ ორშაბათი-პარასკევის ჩათვლით გადიოდა. შაბათობით, შემაჯამებელ გადაცემაში „კვირის ამბები“, ჟურნალისტები კვირის მნიშვნელოვან საკითხებს უფრო სიღრმისეულად აშუქებდნენ. გადაცემის მეორე ნაწილი სტუდიაში მიწვეულ სტუმრებს ეთმობოდათ.

მონიტორინგის პერიოდში, არხი რეგიონში და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის 29 სუბიექტს ჯამში 5 საათი და 30 წუთი დაეთმო. ამ დროის 15 და 13% კოალიცია „ქართული ოცნების“ და ბლოკ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გაშუქებაზე მოდიოდა, ხოლო 12% - მთავრობის.




საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტები მოსაზრებათა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, რაც ტონთა სიჭრელზეც აისახა. არხზე ისმოდა კრიტიკული შეფასებები, როგორც ცენტრალური მთავრობის, აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ. კრიტიკული კომენტარები იყო წარმოდგენილი, როგორც მთავრობის (23%) და კოალიცია „ქართული ოცნების“ (25%), ასევე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (24%) მიმართ. საინფორმაციო გამოშვებების ჟურნალისტები პოლიტიკური პარტიების აქტივობებს და მერობის, გამგებლობისა და საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრებსაც აშუქებდნენ. თუმცა, კანდიდატებზე დრო არათანაბრად იყო გადანაწილებული. არხმა 14 წუთი „ჩვენი საქართველოს“ რუსთავის მერობის კანდიდატსაც დაუთმო.

ტელეკომპანია მნიშვნელოვან დროს უთმობდა სოციალური საკითხების გაშუქებას და პასუხისმგებელი პირების კომენტარებსაც სთავაზობდა მაყურებელს. ჟურნალისტები ფაქტებს, ძირითადად, ნეიტრალურად, საკუთრივ მოსაზრებების დაფიქსირების გარეშე გადმოსცემდნენ, თუმცა ზოგჯერ, ფაქტებს მშრალად, ზედაპირულად აშუქებდნენ და არ ცდილობდნენ საკითხის სიღრმისეულ გარკვევას. მაგალითად, საინფორმაციო გამოშვებებში ორჯერ (9 და 14 ივნისი) გავიდა სიუჟეტი, სადაც პარტია „საქართველოს გზის“ წარმომადგენელი იაგო წიკლაური აცხადებდა, რომ სამთავრობო პროგრამა „წარმოე საქართველოში“ მის მიერ წიგნად გამოცემულ იდეებზე და სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით იყო შედგენილი და კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის ეკონომიკური ნაწილის ავტორი ის არის. სიუჟეტში არ იყო წარმოდგენილი ამ მოსაზრების დამადასტურებელი რაიმე საბუთი, რაც გაამყარებდა ან უარყოფდა წიკლაურის ბრალდებას. ჟურნალისტმა მხოლოდ ის აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების“ გორის საარჩევნო შტაბში კომენტარზე უარი განაცხადეს.

15 ივნისს, არჩევნების დღეს, ტელეკომპანიის ეთერში სპეციალური გამოშვება გავიდა, სადაც არჩევნების წინასწარ შედეგებზე, დღის განმავლობაში საარჩევნო უბნებზე შექმნილ სიტუაციასა და დარღვევებზე იყო საუბარი.

საინფორმაციო გამოშვებებში არ დაფიქსირებულა სიძულვილის ენა, კადრებით ან მუსიკით მანიპულირების შემთხვევები.

გამოშვებებში ხშირი იყო ხმასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზები. ზოგჯერ ინტერვიუერებს არ ჰქონდათ ტიტრები.



„გურია“ (ქ. ოზურგეთი) - ტელეკომპანია „გურიის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვება „ფაქტი“ ეთერში ორშაბათი-პარასკევის საღამოს ეთერში ორჯერ გადიოდა. 10-15 წუთიან საინფორმაციო გამოშვებას ჰყავდა წამყვანი, თუმცა ზოგჯერ ეთერში მის გარეშეც გადიოდა. „ფაქტში“ გასული სიუჟეტები, ძირითადად, რეგიონში მომხდარ ახალ ამბებს ასახავდა. ტელეკომპანიამ აქტიურად გააშუქა არჩევნებში მონაწილე სუბიექტების წინასაარჩევნო შეხვედრები, 28 მაისიდან კი საინფორმაციო გამოშვებას დაემატა რუბრიკა „ვის ვირჩევთ“, რომელიც მაყურებელს არჩევნებში მონაწილე სუბიექტების შესახებ აწვდიდა ინფორმაციას. „გურია“ მონიტორინგის სუბიექტებს 4 საათი და 23 წუთი დაუთმო. ყველაზე მეტი დრო, ერთი საათი, კოალიცია „ქართული ოცნების“ ქალაქ ოზურგეთის მერობის კანდიდატის, ბეგლარ სიორიძის წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრების გაშუქებას დაეთმო. მისი აქტივობები თითქმის ყველა საინფორმაციო გამოშვებაში ხვდებოდა. მერობის კანდიდატის პოზიტიურად გაშუქების მაჩვენებელი (34%) მისი მხარდამჭერების სინქრონების გარდა, ჟურნალისტების დადებითმა შეფასებებმაც გამოიწვია. არხმა კოალიცია „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის გარდა, ოზურგეთის დანარჩენ 7 კანდიდატსაც დაუთმო დრო, თუმცა იგი გაცილებით ნაკლები იყო და მათთვის ჯამში დათმობილმა დრომ ერთი საათი შეადგინა.

კოალიციის მერობის კანდიდატის შემდეგ ყველაზე მეტი დრო (38 წთ. 45 წმ.) თავად „ქართულ ოცნებას“ ერგო. მას 25 წუთითა და 45 წამით მოჰყვება ადგილობრივი ხელისუფლება, რომელსაც სუბიექტებს შორის ნეგატიურად გაშუქების ყველაზე მაღალი, 21%-იანი მაჩვენებლი აქვს.


არხი მონიტორინგის სუბიექტებს, უმეტესწილად, ნეიტრალურ ტონში აშუქებდა, ხოლო პირდაპირი/ირიბი საუბრის პროცენტული მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო. მხოლოდ მთავრობისთვის დათმობილი დროის (10 წთ.) 71% მოდიოდა პირდაპირ საუბარზე.

„ფაქტში“ გასული სიუჟეტები, ძირითადად, ზედაპირული და ინფორმაციული ხასიათის იყო. საინფორმაციო გამოშვებებში არ გასულა რაიმე საკითხზე, პრობლემაზე მომზადებული სიღრმისეული, ანალიტიკური სიუჟეტი. დაფიქსირდა დაუბალანსებლობის შემთხვევებიც, როცა სიუჟეტები მხოლოდ მოსახლეობის კომენტარებზე იყო აგებული და არ იყო წარმოდგენილი ადგილობრივი ხელისუფლების პოზიცია.

მონიტორინგის დროს გამოვლინდა საინფორმაციო გამოშვებაში დაშვებული ფაქტობრივი შეცდომები: ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ მერობის კანდიდატი ირმა კვაჭანტირაძე წარდგენილი იყო, როგორც „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატი; ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ მერობის კანდიდატის ტიტრში შეცდომა იყო დაშვებული. გამოვლინდა სხვადასხვა სახის ტექნიკური ხარვეზიც: ერთ-ერთ სიუჟეტში მერობისა და გამგებლობის კანდიდატების სიის უკეთ წარმოსაჩენად მომზადებულ გრაფიკში ერთი და იგივე ადამიანები მოხსენებულნი იყვნენ როგორც გამგებლობის, ისე მერობის კანდიდატებად. სიუჟეტებში რესპონდენტებს ხშირად არ ჰქონდათ ტიტრები, რაც მათ იდენტიფიცირებას ართულებდა.

არჩევნების დღეს, 15 ივნისის საღამოს ეთერში „ფაქტი“ სამჯერ გავიდა. 6-წუთიან საინფორმაციო გამოშვებებში გასული სიუჟეტები საარჩევნო უბნებზე მიმდინარე პროცესებს შეეხებოდა.

მონიტორინგის პერიოდში, საინფორმაციო გამოშვებებში სიძულვილის ენის გამოყენების და ეთიკური ნორმების დარღვევის ფაქტები არ გამოვლენილა; არც მუსიკით ან კადრებით მანიპულაციას ჰქონია ადგილი.



„იმერვიზია“ (ქ. ჭიათურა) - ტელეკომპანია „იმერვიზიის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვება „ახალი ამბები“ ეთერში წამყვანის გარეშე ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით გადიოდა. საღამოს ეთერში 20-25 წუთიანი საინფორმაციო გამოშვება ორჯერ ხვდებოდა.


15 ივნისის გამოშვებებში „იმერვიზია“ მაყურებელს საჩხერისა და ჭიათურის საარჩევნო უბნებზე მიმდინარე პროცესებს დეტალურად აცნობდა. ასევე შუქდებოდა ქვეყანაში საარჩევნო პროცესის მიმდინარეობა.

მონიტორინგის სუბიექტებს არხის საინფორმაციო გამოშვებებში 8 საათი და 29 წუთი დაეთმო. აქედან, 2 საათი და 42 წუთი კოალიცია „ქართული ოცნება“ გაშუქდა, საათი და 26 წუთი დაეთმო მთავრობას, თითქმის 57 წუთი - ბლოკ „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას“. მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებისას პირდაპირი საუბრის მაჩვენებელი ირიბს მცირედით აღემატებოდა.

„ახალი ამბების“ გამოშვებებში თვითმმართველი ქალაქების მერობის კანდიდატები ორ წუთზე ნაკლები დროით იყვნენ მოხსენებულნი. ვინაიდან, ქალაქ ჭიათურაში მერს არ ირჩევენ, ძირითადი აქცენტი საკრებულოს წევრობისა და გამგებლობის კანდიდატებზე კეთდებოდა. ჟურნალისტების მხრიდან არ გამოვლენილა მიკერძოებული გაშუქების შემთხვევები. ამავე დროს, ჟურნალისტები არ გამოირჩეოდნენ საარჩევნო სუბიექტების პროგრამების სიღრმისეული ანალიზით. არხის ეთერში კრიტიკული კითხვები არ ისმებოდა.

„იმერვიზიის“ ჟურნალისტები ახალ ამბებს ოპერატიულად გადმოსცემდნენ, თუმცა სიუჟეტები, ძირითადად, მშრალი და ინფორმაციული ხასიათის იყო.

საინფორმაციო გამოშვებებში არ დაფიქსირებულა ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტები.



„გურჯაანი“ (ქ. გურჯაანი) - „გურჯაანის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ ეთერში ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით გადიოდა. კვირას ეთერი „მთელ კვირას“ ეთმობოდა. მასში კვირის მანძილზე მომხდარ მნიშვნელოვან თემებზე მომზადებული სიუჟეტები მეორდებოდა. გადაცემა ეთერში წამყვანის გარეშე გადიოდა. საარჩევნო კვირის მიწურულს არხის საეთერო ბადე შეიცვალა, „მთელი კვირა“ ეთერში შაბათს გავიდა, კვირას კი 22 საათზე მაყურებელს საშუალება ჰქონდა საინფორმაციო გამოშვება ენახა. 15 ივნისის საინფორმაციო გამოშვებაში ჟურნალისტი № 12 საოლქო-საარჩევნო კომისიიდან ჩაერთო და მაყურებელს არჩევნების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა, რის შემდეგაც მის კითხვებს გურჯაანის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ უპასუხა. ჟურნალისტი ცდილობდა რესპონდენტისგან დღის მანძილზე განვითარებულ საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მიეღო.

არხის საინფორმაციო გამოშვებებში ასევე შუქდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემები, სოციალური საკითხები, კულტურული და სპორტული ღონისძიებები,

ზოგადად ქვეყნისა და უცხოეთის ახალი ამბები. ახალი ამბების გამოშვებებში ქვეყანაში განვითარებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი ცალკე ბლოკში - „რეგიონსგარეთ მოვლენები“, მოკლედ იყო წარმოდგენილი.


12 მაისი -15 ივნისის მანძილზე, საინფორმაციო გამოშვებებში ტელეკომპანია „გურჯაანმა“ მონიტორინგის სუბიექტებს 4 საათი და 38 წუთი დაუთმო. აქედან ყველაზე მეტი დრო წილად ხვდათ: ადგილობრივ ხელისუფლებას (52 წთ. 23 წმ.), კოალიცია „ქართულ ოცნებას“ (45წთ.) და მთავრობას (39 წთ.).

საინფორმაციო გამოშვებაში თვითმმართველი ქალაქების მერობის კანდიდატები 4 წუთზე ნაკლები დროით იყვნენ მოხსენებულნი. ძირითადი აქცენტი გამგებლობის და საკრებულოს წევრობის კანდიდატების აქტივობებზე კეთდებოდა. თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტების გაშუქებისას რომელიმეს მიმართ მიკერძოებული, სუბიექტურად დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება არ გამოვლენილა.

მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი დრო თითქმის თანაბრად ნაწილდებოდა პირდაპირ და ირიბ საუბარზე.

ჟურნალისტები ახალ ამბებს ოპერატიულად აშუქებდნენ და მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციებს არ აფიქსირებდნენ. ხშირ შემთხვევაში, ჟურნალისტების მიერ მომზადებული მასალები კრიტიკული იყო, თუმცა იყო შემთხვევები, როცა ამბები ზედაპირულად შუქდებოდა. ჟურნალისტები სოციალური თემების ირგვლივ უფრო სიღრმისეულ და ამომწურავ მასალებს ამზადებდნენ.

არხის საინფორმაციო გამოშვებებში სიძულვილის ენის გამოყენების და ხმით/მუსიკით მანიპულირების შემთხვევები არ დაფიქსირებულა. ადგილი არ ჰქონია „ფარული პოლიტიკური რეკლამის“ გამოყენების შემთხვევებს.



„მეგა ტვ“ (ქ. ხონი) - მონიტორინგის პერიოდში ტელემაუწყებლის საინფორმაციო გამოშვება „მთავარი დღეს“ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 22 საათზე გადიოდა, შაბათს ეთერი „მთავარი კვირას“ ეთმობოდა, ხოლო კვირას - „კვირის ფაქტებს“. საშუალოდ 40-45 წუთიან გამოშვებებში ქვეყანასა და რეგიონში მიმდინარე მოვლენები აქტიურად შუქდებოდა.

ყოველდღიურ გამოშვებებში ახალ ამბებს არხი, ძირითადად, ე.წ. „კადრ-სინქრონით“ გადმოსცემდა. ჟურნალისტები მაყურებელს სიახლეებს ოპერატიულად აწვდიდნენ. თუმცა, მათი მხრიდან ნაკლებად ისმოდა კრიტიკული კითხვები, შესაბამისად ახალი ამბები ზედაპირულად შუქდებოდა. შაბათ-კვირის გადაცემებში უფრო სიღრმისეულად მომზადებული სიუჟეტები გადიოდა და პროექტ „ფაქტ-მეტრის“ სიუჟეტებსაც ეთმობოდა დრო. პროექტის ფარგლებში მომზადებულ სიუჟეტებში პოლიტიკური სუბიექტების მიერ ნათქვამის სიზუსტე მოწმდებოდა. წარმოდგენილი იყო დოკუმენტირებული არგუმენტები და ექსპერტთა კომენტარები, რაც ამყარებდა დასკვნით ნაწილში პოლიტიკოსთა მიერ გაკეთებული განცხადებების ფაქტობრივ სიზუსტეს თუ უზუსტობას.

15 ივნისს, არჩევნების დღეს, მაუწყებლის პრაიმ-ტაიმში ორი საინფორმაციო გამოშვება გავიდა, რომელთა ქრონომეტრაჟი 40 და 70 წუთი იყო. მათში რეგიონსა და მთლიანად ქვეყანაში მიმდინარე საარჩევნო პროცესები დეტალურად იყო გაშუქებული.


არხმა მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 9 საათი და 46 წუთი დაუთმო. მთავრობა არხის ეთერში საათისა და 39 წუთის განმავლობაში შუქდებოდა, კოალიცია „ქართული ოცნება“ - საათის და 18 წუთის მანძილზე, ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - ერთი საათის; ერთი საათი დაეთმო პრემიერ-მინისტრსაც. არხი ასევე აქტიურად აშუქებდა მერობის, გამგებლობისა და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიებს.

ქუთაისის მერობის კანდიდატებიდან არხმა შვიდივე გააშუქა, თუმცა მათთვის დათმობილი დრო განსხვავებული იყო. ყველაზე მეტი დრო (44 წთ.) კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატ შოთა მურღულიას ერგო, 21 წუთიანი გაშუქება ჰქონდა ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ კანდიდატ თეიმურაზ შაშიაშვილის, 18 წუთი - გიორგი თევდორაძეს (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“). მას თითქმის 7-7 წუთით მოჰყვებიან ხათუნა მაჭავარიანი (ბლოკი „თვითმმართველობა ხალხს“) და მაგდა გაბრიჩიძე (ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“). 5 წუთი დაეთმო „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატ ალექსანდრე კეზევაძეს, ხოლო 3 წუთზე ნაკლები „ლეიბორისტული პარტიის“ კანდიდატ ირაკლი კიკვაძეს. „მეგა ტვ“ თბილისის მერობის კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიებსაც აშუქებდა.

საინფორმაციო გამოშვებებში მხოლოდ პოლიტიკური სუბიექტების წინასაარჩევნო აქტივობები, მოსახლეობასთან შეხვედრები შუქდებოდა. მათი საარჩევნო პროგრამების შესახებ მაყურებელს სიღრმისეული ინფორმაცია არ მიეწოდებოდა. აქცენტი, ძირითადად, კანდიდატების საარჩევნო დაპირებებზე კეთდებოდა.

ჟურნალისტები ახალ ამბებს მიუკერძოებლად და ნეიტრალურად გადმოსცემდნენ. სიუჟეტებში დაცული იყო ბალანსი. არ დაფიქსირებულა სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები.





„მე-9 ტალღა“ (ქ. ფოთი) – მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანია „მე-9 ტალღის“ საინფორმაციო გამოშვება „კურსორი“ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით გადიოდა. 20-25 წუთიანი საინფორმაციო გამოშვებებს პრაიმ-ტაიმში დრო ორჯერ ეთმობოდა.

15 ივნისს, არჩევნების დღეს, ტელეკომპანია „მე-9 ტალღა“ საგანგებო რეჟიმში მუშაობდა. საღამოს ეთერში ორი საინფორმაციო გამოშვება გავიდა. არხმა ფოთში მიმდინარე საარჩევნო პროცესები დეტალურად გააშუქა. არჩევნების მიმდინარეობასთან დაკავშირებით ეთერში გავიდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების ინტერვიუები, ფოთის მერობის კანდიდატების და საქართველოს პარლამენტის ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის ეკა ბესელიას ხმის მიცემის პროცესი და ინტერვიუები.

საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს არხმა 7 საათი და 25 წუთი დაუთმო. აქედან, თითქმის 2 საათი კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაეთმო. საათი და 17 წუთის მანძილზე გაშუქდნენ მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატები. ხოლო მესამე ყველაზე მეტად გაშუქებული სუბიექტი ცენტრალური საარჩევნო კომისია იყო (50 წთ.).

„მე-9 ტალღის“ საინფორმაციო გამოშვებებში ფოთის მერობის ხუთივე კანდიდატს დაეთმო დრო, თუმცა იგი არათანაბრად იყო გადანაწილებული: 19 წუთი - ირაკლი კაკულია (კოალიცია „ქართული ოცნება“), 13 წუთი - დავით ქანთარია ( ბლოკი „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“), 9 წუთი - უმანგი გეგენავა („საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“), 8 წუთი -


ვახტანგ დარცმელიძე (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), 4 წუთი - მარინა ბარამია (ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“). მათი გაშუქება, უმეტესწილად, ნეიტრალურად, პირდაპირი საუბრით ხდებოდა.

„კურსორში“ ადგილობრივ ახალ ამბებთან ერთად ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსაც ეთმობოდა დრო. ცენტრალური ამბები „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციისგან“ მიღებული მასალებით შუქდებოდა. საინფორმაციო გამოშვებები თემების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. არხი მაყურებელს საარჩევნო სუბიექტებისა და პოლიტიკური პარტიების აქტივობების გარდა, ადგილობრივი ხელისუფლების აქტივობების, მოსახლეობის პრობლემების, სპორტული და კულტურული ღონისძიებების შესახებ მომზადებულ სიუჟეტებსაც სთავაზობდა.

საინფორმაციო გამოშვების მეორე ნაწილში, ხშირად წამყვანს სტუდიაში მიწვეული ჰყავდა ერთი სტუმარი, რომელსაც აქტუალურ საკითხებზე კითხვებს უსვამდა.

„მე-9 ტალღის“ ჟურნალისტები ახალ ამბებს ოპერატიულად, თუმცა ზედაპირულად აშუქებდნენ და კრიტიკულ კითხვებს არ სვამდნენ. ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებსაც არ აკეთებდნენ და ცდილობდნენ სიუჟეტებში ბალანსი დაცული ყოფილიყო.

საინფორმაციო გამოშვებებში ხმით/კადრებით მანიპულაციის და ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტები არ დაფიქსირებულა.



„არგო“ (ქ. ზესტაფონი) – მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანია „არგოს“ ეთერში ახალი ამბების გამოშვება „სპექტრი“ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, წამყვანის გარეშე


გადიოდა. არხი, ძირითადად, რაიონში განვითარებულ მოვლენებს აშუქებდა და სხვა მაუწყებლებთან შედარებით, საარჩევნო პროცესებს და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს ნაკლებ დროს უთმობდა. აქცენტი კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებზე, ჯანდაცვის საკითხებსა და სხვადასხვა სოციალურ თემებზე კეთდებოდა.

საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას ჯამში ორი საათი და 22 წუთი დაეთმო. აქედან, ყველაზე მეტი დრო ცენტრალური საარჩევნო კომისიის (25%) და კოალიცია „ქართულ ოცნების“ (17%) გაშუქებაზე მოდიოდა.

კოალიცია „ქართული ოცნება“ 42%-ით დადებით ტონში იყო წარმოდგენილი, თუმცა ეს მაჩვენებელი სუბიექტის მაღალი (85%) პირდაპირი გაშუქებით იყო გამოწვეული და არა ჟურნალისტის მიკერძოებული დამოკიდებულებით. ჟურნალისტები ფაქტებს სუბიექტური მოსაზრებების დაფიქსირების გარეშე გადმოსცემდნენ.

15 ივნისის გამოშვებაში გასული სიუჟეტები საარჩევნო უბნებზე არსებულ სიტუაციას შეეხებოდა.

მონიტორინგის პერიოდში არ გამოვლენილა სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები.



„მარნეული ტვ“ (ქ. მარნეული) – ტელეკომპანია „მარნეული ტვ“-ის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „ახალი ამბები“ ეთერში ორშაბათი-შაბათის ჩათვლით გადიოდა. გამოშვება რამდენჯერმე კვირასაც მომზადდა. „ახალი ამბები“ პრაიმ-ტაიმში ორჯერ მეორდებოდა. 5-დან 30 წუთამდე ქრონომეტრაჟის საინფორმაციო გამოშვება ეთერში წამყვანის გარეშე გადიოდა.

ტელეკომპანიამ მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 6 საათი და 48 წუთი დაუთმო, საიდანაც ყველაზე მეტი, 2 საათი კოალიცია „ქართულ ოცნებაზე“ მოდიოდა. ეს დრო, ძირითადად, კოალიციის მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატის, მერაბ თოფჩიშვილის აქტივობების გაშუქებას დაეთმო. მისი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ჩატარებული შეხვედრები თითქმის ყველა საინფორმაციო გამოშვებაში ხვდებოდა.

საარჩევნო სუბიექტებიდან არხმა ასევე გააშუქა ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“ (21წთ.), ბლოკი „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“ (16 წთ.) და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ (თითქმის 7 წუთი).


საათი და 11 წუთი ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქებას დაეთმო, მისთვის დათმობილი დროის 81% ნეიტრალურ ტონზე, ხოლო 79% პირდაპირ სუბარზე მოდიოდა. სიუჟეტები მზადდებოდა როგორც ადგილობრივი ხელისუფლების კონკრეტული საქმიანობის შესახებ, ასევე ეთერი ეთმობოდა მუნიციპალიტეტის თათბირებს, გაშუქდა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბოლო სხდომის აღნიშვნაც. დაახლოებით 6 წუთიან სიუჟეტში საკრებულოს თავმჯდომარის ფურშეტზე წარმოთქმულ სადღეგრძელოს და სინქრონს თითქმის 3 წუთი დაეთმო.

მონიტორინგის სუბიექტები, უმეტესწილად, ნეიტრალურად და პოზიტიურად შუქდებოდნენ, ხოლო პირდაპირი საუბარი ირიბს სჭარბობდა.

ცესკოს და ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ უარყოფითი გაშუქება მარნეულის საოლქო კომისიის მიერ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატის მოხსნის ფაქტის გაშუქებამ გამოიწვია. ამ საკითხის შესახებ 5 ივნისის საინფორმაციო გამოშვებაში დაახლოებით 9 წუთიანი სიუჟეტი გავიდა. თუმცა იგი ზედაპირული იყო, ჟურნალისტს არ დაუსახელებია კანდიდატის რეგისტრაციიდან მოხსნის მიზეზი და არც წინასტორია შეუხსენებია მაყურებლისთვის.

საინფორმაციო გამოშვებებში, ძირითადად, ადგილობრივ ახალ ამბებზე მომზადებული ინფორმაციული ხასიათის მასალები გადიოდა. „მარნეული ტვ“-ის ჟურნალისტები მოვლენების მშრალი გაშუქებით შემოიფარგლებოდნენ და სიღრმისეულ სიუჟეტებს არ ამზადებდნენ.

საინფორმაციო გამოშვებებში რამდენჯერმე დაფიქსირდა ფაქტობრივი უზუსტობის შემთხვევა: ჟურნალისტმა მარნეულის საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატი მარნეულს მერობის კანდიდატად მოიხსენია. ზოგჯერ რესპონდენტებს არ ჰქონდათ ტიტრი, რაც მათ იდენტიფიცირებას ართულებდა.



„ბორჯომი“ (ქ. ბორჯომი) - მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანია „ბორჯომის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვება „დღის ქრონიკა“ ეთერში ორშაბათი-პარასკევის ჩათვლით გადიოდა. იგი რამდენჯერმე შაბათ-კვირასაც მომზადდა. მას პრაიმ-ტაიმში ორჯერ (20:00 და 22:00) ეთმობოდა დრო. „დღის ქრონიკას“ ჰყავდა წამყვანი, თუმცა, ზოგჯერ გადაცემა ეთერში მის გარეშე გადიოდა. დაახლოებით 10-15 წუთიან საინფორმაციო გამოშვებებში ძირითადად, ადგილობრივ ახალ ამბებზე მომზადებული მასალები ხვდებოდა. სიუჟეტები, ზედაპირული და ინფორმაციული ხასიათის იყო. რაიმე თემაზე, საკითხზე მომზადებული სიღრმისეული, ანალიტიკური მასალა ეთერში იშვიათად ხვდებოდა და ისინი, ძირითადად, სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პრობლემებს ეხებოდა.

საინფორმაციო გამოშვებებში ტელეკომპანია „ბორჯომმა“ მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 2 საათი და 36 წუთი დაუთმო. ისინი, დიდწილად, ნეიტრალური ტონით გაშუქდნენ, პირდაპირი საუბარი კი ხშირად აჭარბებდა ირიბს. ამ დროიდან ყველაზე მეტი (44 წთ.) ადგილობრივ ხელისუფლებას ერგო. 31 წუთი დაეთმო ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (აქტიურად შუქდებოდა ბორჯომის 36-ე საოლქო კომისიის მუშაობა), ხოლო 17 წუთი - მთავრობას.


არჩევნებში მონაწილე სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო (16 წთ.) კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაეთმო. მას 13 წუთით „ლეიბორისტული პარტია“ მოჰყვება, რომელსაც

პოზიტიურად გაშუქების ყველაზე მაღალი (21%) მაჩვენებლი აქვს. 11 წუთი ერგო „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“.

„დღის ქრონიკის“ ეთერში რამდენჯერმე გავიდა ტელეკომპანია „მე-9 არხის“ სიუჟეტები. საერთო დროის 2% ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ახალციხის მერობის კანდიდატ გელა დემეტრაძეს სწორედ ტელეკომპანია „მე-9 არხის“ სიუჟეტის ეთერში გასვლის ხარჯზე დაეთმო.

„დღის ქრონიკაში“ გასული მასალები, ძირითადად, დაბალანსებული იყო, ჟურნალისტები მოვლენებს მშრალად და მიუკერძოებლად გადმოსცემდნენ. თუმცა იყო გამონაკლისებიც, რომლებშიც ამბის მონაწილე ყველა მხარის პოზიცია არ იყო ნაჩვენები. მაგალითად, 13 ივნისის ერთ-ერთ სიუჟეტში მოსახლეობა ადგილობრივ ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებდა, ჟურნალისტს კი თვითმმართველობის პოზიცია ნაჩვენები არ ჰქონდა. არასრული ინფორმაცია იყო ხშირად ნაჩვენები რესპონდენტების ტიტრებშიც, საიდანაც არ ირკვეოდა ესა თუ ის კანდიდატი, რომელ პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენდა.

15 ივნისს „ბორჯომმა“ არჩევნებთან დაკავშირებით ორი საინფორმაციო გამოშვება მოამზადა. მასში გასული სიუჟეტები ადგილობრივ საარჩევნო უბნებზე მიმდინარე პროცესებს ეხებოდა. არჩევნების გაშუქებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი იყო 13 ივნისის საინფორმაციო გამოშვებაში კენჭისყრის პროცედურის შესახებ გასული სიუჟეტი.



„დია“ (ქ. ხაშური) - ტელეკომპანია „დიას“ მთავარი საინფორმაციო გამოშვება ეთერში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით წამყვანის გარეშე გადიოდა. შაბათს ეთერი „კვირის ამბებს“ ეთმობოდა, სადაც კვირის მანძილზე მნიშვნელოვან თემებთან დაკავშირებით

მომზადებულ სიუჟეტებს იმეორებდნენ. 15 ივნისის საინფორმაციო გამოშვებაში მაყურებელს რეგიონში მიმდინარე საარჩევნო პროცესები გააცნეს.

9-15 ივნისის პერიოდში „დიას“ რამდენიმე საინფორმაციო გამოშვებას წამყვანი უძღვებოდა, თუმცა გადაცემები ეთერში ხარვეზებით (არ ისმოდა წამყვანის ხმა, წამყვანის ხმა და სიუჟეტის ტექსტი ერთმანეთს ფარავდა) გავიდა.


ტელეკომპანია „დიას“ მონიტორინგის სუბიექტებს 2 საათი და 22 წუთი დაუთმო. აქედან, თითქმის 31 წუთი კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივობების გამუქებაზე მოდიოდა, 16 წუთი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ხოლო 14 წუთი - ადგილობრივი ხელისუფლების.

„დია“ გორის მერობის კანდიდატების აქტივობებსაც აშუქებდა. თუმცა, მერობის 7 კანდიდატიდან, 3 წუთზე მეტი დრო მხოლოდ თამაზ მაყაშვილს („ერთიანობის დარბაზი“) და ზურაბ ჯირკველიშვილის (კოალიცია „ქართული ოცნება“) დაეთმო.

არხი აქტიურად აშუქებდა რეგიონში და ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს, წინასაარჩევნო კამპანიებს, თუმცა სიუჟეტები ზედაპირული, მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის იყო და, ძირითადად, კანდიდატებისა თუ პარტიების მოსახლეობასთან შეხვედრებს და დაპირებებს შეეხებოდა. ჟურნალისტები ნაკლებად იჩენდნენ ინიციატივას დაესვათ კრიტიკული კითხვები და მოემზადებინათ სიღრმისეული მასალები.

სიუჟეტებში გასულ სინქრონებს ხშირად ტიტრები არ ჰქონდა, რის გამოც მონიტორინგის რამდენიმე სუბიექტს დრო ვერ დავუთვალეთ, რადგან ვერ მოხებდა იმის დადგენა თუ რომელ პარტიას წარმოადგენდნენ.

ჟურნალისტები ახალ ამბებს მიუკერძოებლად გადმოსცემდნენ და სიუჟეტებში სუბიექტურ შეხედულებებს არ აფიქსირებდნენ. მონიტორინგის პერიოდში არხზე სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები არ გამოვლენილა.



**საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების და თოქ-შოუების მონიტორინგი**

ამ ტიპის გადაცემების მონიტორინგი მოიცავს მხოლოდ თვისებრივ კომპონენტს. მონიტორინგის დროს დაკვირვება მხოლოდ ჟურნალისტებზე ხდება. მათი ქცევა სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ფასდება: გადაცემაში მათი როლი და ჩართულობა, როგორ წარმართავენ პროცესს, უბრალოდ მოდერატორები არიან, თუ ცდილობენ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას, რამდენად თანაბარ პირობებში აყენებენ სტუმრებს, რამდენად თანაბრად მომთხოვნიან ჟურნალისტი ყველა სტუმრის მიმართ და ცდილობს მათგან სიღრმისეული ინფორმაციის მიღებას, რამდენად აცდიან სტუმრებს აზრის გამოთქმას, როდის აწყვეტინებენ საუბარს. მონიტორინგი ასევე აკვირდება ჟურნალისტების მხრიდან შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი ფრაზებისა და განცხადებების გამოყენებას და მათ რეაგირებას სტუმრების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე.

**მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:**

„25-ე არხი“ (ქ. ბათუმი) - ტელეკომპანიის სადამოს ეთერში ორშაბათი-ხუთშაბათის ჩათვლით თოქ-შოუ „დიალოგი“ გადიოდა. თოქ-შოუებს ჟურნალისტი ჯაბა ანანიძე უძღვებოდა. მონიტორინგის პერიოდში გადაცემების ძირითადი დრო ადგილობრივი



თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს ეთმობოდათ. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ თავისუფლად ესაუბრათ საარჩევნო პროგრამების, პრიორიტეტების და სამომავლო გეგმების შესახებ.

„დიალოგის“ სხვადასხვა გადაცემებში მონაწილეობა მიიღეს ბათუმის მერობის კანდიდატებმა: გიორგი ხიმშიაშვილმა („ერთიანობის დარბაზი“), გიორგი დიასამიძემ (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), გოჩა გუგუნავამ („საქართველოს გზა“), გიორგი ერმაკოვმა (კოალიცია „ქართული ოცნება“), ჯუმბერ თავართქილაძემ („ხალხის პარტია“), ალექსანდრე თევზაძემ (ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“), დავით დიასამიძემ („ირაკლი ღლონტი-რეფორმატორები“), დურმიშხან შაინიძემ (ბლოკი „თვითმმართველობა ხალხს“), ნუგზარ ჩხაიძემ („ლეიბორისტული პარტია“); აგრეთვე, მნიშვნელოვანი დრო დაეთმო სხვადასხვა რაიონის (ქედა, ხელვაჩაური, ხულო, ქობულეთი, შუახევი) და პარტიის გამგებლობის, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების დებატებსა და საარჩევნო პროგრამების წარდგენას.

ჟურნალისტი სტუდიაში მიწვეულ სტუმრებს აქტუალურ და ამომრჩევლებისთვის საინტერესო შეკითხვებს უსვამდა. იგი ცდილობდა ბოლომდე ჩასძიებოდა სტუმრებს, რათა დამატებითი კითხვებით მაყურებელს ამომწურავი ინფორმაცია მიეღო. ხშირ შემთხვევაში, გადაცემის მეორე ნაწილში, პარტიების წარმომადგენლებს შორის მწვავე დისკუსია იმართებოდა. წამყვანი მათ აქტიურ ოპონირებას უწევდა. 26 მაისის გადაცემაში სტუმრებსა („საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი ადა მარშანია და ალიანსის პროპორციული სიის პირველი ნომერი დავით თევდორაძე) და წამყვანს შორის მწვავე დისკუსია გაიმართა. ჟურნალისტი პარტიის ფორმირების, სამომავლო გეგმების შესახებ კრიტიკულ კითხვებს სვამდა, რამაც სტუმრების გაღიზიანება გამოიწვია. გადაცემის მსვლელობისას ერთ-ერთმა მაყურებელმა, სატელეფონო ზარის მეშვეობით, წამყვანი აგრესიულობასა და არაინფორმირებულობაში დაადანაშაულა.

არჩევნებში მონაწილე სუბიექტების პროგრამების გარდა „დიალოგის“ გამოშვებებში სხვა საკითხებიც განიხილებოდა: ნათესავეები პარტიულ სიებში, კორუფციის რისკები საკრებულოში, ჟურნალისტზე განხორციელებული მუქარის ფაქტი.

წამყვანი, ჯაბა ანანიძე სტუმრებს თანაბარ დროს უთმობდა. იგი გადაცემების მსვლელობაში აქტიურად იყო ჩართული, სვამდა კრიტიკულ კითხვებს და სტუმრების მიმართ მომთხოვნი იყო. ზოგჯერ წამყვანი სტუმრებს რამდენჯერმე უმეორებდა ერთი და იგივე კითხვას, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, საპასუხოდ საკმაოდ დროს არ უთმობდა. გადაცემები მაღალი ინტერაქტიულობით გამოირჩეოდა. ჟურნალისტი სატელეფონო ჩართვებისას მაყურებელს

კონკრეტული შეკითხვის დასმისა და კორექტული საუბრისკენ მოუწოდებდა, ხოლო სტუმრებს - არგუმენტირებული საუბრისკენ.

„დიალოგის“ წამყვანი სიძულვილის ენას ან არაკორექტულ ლექსიკას არ იყენებდა და მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტები მწვავე განცხადებებს აკეთებდნენ, გადაცემებში მსგავსი რამ, არც სტუმრების მხრიდან დაფიქსირებულა.

8 ივნისს, „25-ე არხის“ ეთერში საგამომიებო სტუდია „REC“-ის ფილმი „**უმაღლესი კომფორტი**“ გავიდა. 55 წუთიანი ფილმის ავტორი ჟურნალისტი ჯაბა ანანიძე იყო.

საგამომიებო ფილმის მთავარი თემა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელი პირებისა და დეპუტატების საქმიანობას შეეხებოდა. რა სამუშაოებს ასრულებს საბჭო და რამდენად ეფექტურია მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რა სახის ხარჯები აქვთ დეპუტატებს და რა უჯდება მათი შენახვა ბიუჯეტს - ფილმის ავტორი ამ კითხვებზე ამომწურავი და არგუმენტირებული პასუხის მიღებას შეეცადა. ფილმში წარმოდგენილი მოსაზრებები არგუმენტირებული იყო, ფაქტები - გამყარებული სხვადასხვა წყაროს კომენტარებით და, ხშირ შემთხვევაში, ექსპერტების მოსაზრებებს და დასკვნებს ეყრდნობოდა. ჟურნალისტი არ იყენებდა სიძულვილის ენას, თუმცა დაფიქსირდა ნაკლებად ეთიკურ კონტექსტში ფრაზის („რა გახდა დეპუტატების დაბრმავების მიზეზი“) გამოყენების შემთხვევა. ფილმში დასმული შეკითხვები საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებზე დეტალურ ინფორმაციას იძლეოდა.

„**რიონი**“ (ქ. ქუთაისი) - მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანია „რიონის“ საღამოს ეთერში, 21:30 საათზე **საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ „თემა“** გადიოდა, რომელიც ჟურნალისტ ნანა რობაქიძეს მიჰყავდა.

„თემა“ სტუმართა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. გადაცემებში სხვადასხვა დროს მიწვეული ჰყავდათ, როგორც სამთავრობო გუნდის, აგრეთვე ოპოზიციური პარტიების მერობის, გამგებლობის და საკრებულოს წევრობის კანდიდატები. მისი ეთერი ასევე ეთმობოდათ დამოუკიდებელ კანდიდატებსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს.

გადაცემების თემები შემდეგ საკითხებს მოიცავდა:

- ქალების როლი პოლიტიკაში - როგორ არიან ისინი წარმოდგენილნი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში;
- იმერეთის რეგიონში არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტების საარჩევნო პროგრამები, პოლიტიკური ხედვა, პროგრამული პრიორიტეტები;

- საარჩევნო გარემო;

წამყვანი აქტიურად იყო ჩართული თოქ-შოუების მიმდინარეობის პროცესში და ცდილობდა სტუმრებს გადაცემებში წამოჭრილ თემებზე დეტალურად ესაუბრათ. ჟურნალისტი ინტერესდებოდა თუ რამდენად იცნობენ კანდიდატები მოსახლეობის პრობლემებს. კანდიდატებს საშუალება ჰქონდათ მაყურებლისთვის საარჩევნო პროგრამები გაეცნოთ. ჟურნალისტი საარჩევნო პროგრამაში გაწერილ საკითხებთან დაკავშირებით კითხვებს სვამდა. გადაცემების სტუმრებს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება მაქსიმალურად ეძლეოდათ და საუბრისთვის დრო თანაბრად ეთმობოდათ. თოქ-შოუს მსვლელობის დროს მაყურებელს მრავალმხრივი ინფორმაციის მიღება შეეძლო. თუ გადაცემის სტუმარი ოპონენტს აკრიტიკებდა, რომელიც სტუდიაში არ იმყოფებოდა, ჟურნალისტი ცდილობდა რესპონდენტისთვის ოპონირება თავად გაეწია. იგი სტუმრებს ყოველთვის კორექტულობისკენ მოუწოდებდა.

წამყვანი არ აფიქსირებდა საკუთარ პოზიციას და, ძირითადად, მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა. გადაცემებში რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის ტენდენციურად წარმოჩენის მცდელობას ადგილი არ ჰქონია.

გადაცემები ინტერაქტიული იყო, მოსახლეობას საშუალება ჰქონდა საკუთარი პოზიცია სატელეფონო ზარის საშუალებით დაეფიქსირებინა.

5 ივნისს, თოქ-შოუ „თემას“ ეთერი მედიაპარტნიორობის პროგრამის „არჩევნები 2014“-ის ფარგლებში, „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მომზადებულ ტელედებატებს დაეთმო. თითქმის ორსაათიანი გადაცემა ჟურნალისტ ნანა რობაქიძეს მიჰყავდა.

სტუდიაში მიწვეულები იყვნენ ქუთაისის მერობის კანდიდატები: გიორგი თევდორაძე (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), ირაკლი კიკვაძე („ლეიბორისტული პარტია“), ალექსანდრე კეზევაძე („საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“), თეიმურაზ შაშიაშვილი (ბლოკი „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“), მაგდა გაბრიჩიძე (ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“), ხათუნა მაჭავარიანი (ბლოკი „თვითმმართველობა ხალხს“) და შოთა მურღულია (კოალიცია „ქართული ოცნება“).

გადაცემის პირველ ბლოკში კანდიდატებს საშუალება მიეცათ მაყურებლისთვის საარჩევნო პროგრამები გაეცნოთ. მეორე ნაწილში ისინი გადაცემის წამყვანის კითხვებს პასუხობდნენ. მესამე ნაწილში ქუთაისის მერობის კანდიდატებს კითხვებს გადაცემაში მიწვეული მედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები უსვამდნენ. გადაცემის მე-4 ნაწილში კი მაყურებლებს საშუალება ჰქონდათ სატელეფონო ზარის მეშვეობით მათთვის საინტერესო

კითხვებზე პასუხები მიეღოთ. მაყურებელმა ეს საშუალება გამოიყენა, ისინი აქტიურები იყვნენ. სვამდნენ კითხვებს და ამა თუ იმ კანდიდატისა და საკითხის შესახებ საკუთარ პოზიციებსაც აფიქსირებდნენ.

ჟურნალისტი დებატებისთვის კარგად იყო მომზადებული. ის გადაცემის სტუმრებს დროს თანაბრად უნაწილებდა. ცხარე დებატების ფონზე, როდესაც წამყვანმა ერთ-ერთი მერობის კანდიდატი ვერ გააჩერა, გადაცემაში რეკლამა გამოაცხადა. წამყვანი კრიტიკულ კითხვებს სვამდა და გადაცემაში წამოჭრილ თემებთან დაკავშირებით დეტალურად ინტერესდებოდა, თუმცა საკუთარ მოსაზრებებს არ აფიქსირებდა.

ტელეკომპანია „რიონის“ ეთერი, სამშაბათობით ეთმობოდა თოქ-შოუ „ობიექტურ აზრს“, რომელიც ჟურნალისტ ელზა ჩუბინიძეს მიჰყავდა.

გადაცემა, ძირითადად, ორი ბლოკისგან შედგებოდა და თითოეულში სხვადასხვა სტუმარი იყო მიწვეული, თუმცა ზოგჯერ გადაცემა 3 ნაწილადაც იყოფოდა.

გადაცემის სტუმრები იყვნენ ქუთაისის სხვადასხვა უბნის (კახიანური, ძელქვიანი, ქალაქ-მუზეუმი, უქიმერიონი, ნიკვა) პოლიტიკური ძალების (ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“, „ლეიბორისტული პარტია“ ბლოკი „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“, კოალიცია „ქართული ოცნება“, ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“) და დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები. ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

გადაცემის თემები იყო:

- წინასაარჩევნო გარემო;
- არის თუ არა ეფექტური ადგილობრივი თვითმმართველობა და რა ცვლილებებს ელოდება მოსახლეობა არჩევნებისგან;
- კანდიდატების საარჩევნო პროგრამები. რამდენად იცნობენ მოსახლეობის პრობლემებს და საკრებულოში მოხვედრის შემთხვევაში როგორ აპირებენ მათ გადაჭრას;
- საიას წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის მეორე შუალედური ანგარიში;

ჟურნალისტი თოქ-შოუებში აქტიურად იყო ჩართული, სვამდა კრიტიკულ და აქტუალურ კითხვებს. სტუმრების შერჩევის თვალსაზრისით გადაცემა დაბალანსებული იყო. წამყვანი სტუმრებს საშუალებას არ აძლევდა თემიდან გადაეხვიათ. მწვავე პოლემიკის დროს მათ აქტიურ ოპონირებას უწევდა, ხოლო კამათის გამწვავების დროს სტუმრებს კორექტული საუბრისკენ მოუწოდებდა. გადაცემების ეთერი ეთმობოდა იმ უბნის მოსახლეობის გამოკითხვას, რომლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატიც იყო გადაცემაში მიწვეული.

მოსახლეობა მათთან არსებულ პრობლემებზე საუბრობდა. წამყვანი ინტერესდებოდა იცნობდნენ თუ არა კანდიდატები ამ პრობლემებს და როგორ აპირებდნენ მათ მოგვარებას. თოქ-შოუში წარმოდგენილი იყო ინტერაქტივის შეკითხვაც.

7 ივნისს ტელეკომპანია „რიონის“ ეთერი დაეთმო გადაცემას **„გენდერი და საზოგადოება“**, რომელიც ჟურნალისტ ნანა რობაქიძეს მიჰყავდა. გადაცემა პროექტის „ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისათვის“ ფარგლებში მომზადდა. მას „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ახორციელებს. მისი პარტნიორები არიან: ფონდი „ტასო“, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი და გალის რაიონში მოქმედი არსამთავრობო ორგანიზაცია.

გადაცემის სტუმრები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და კოალიცია „ქართული ოცნების“ ზესტაფონის საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატი იყვნენ.

ჟურნალისტი დაინტერესდა პროექტის მიზნებით. წამყვანი ცდილობდა სტუმრებისგან მიეღო ინფორმაცია თუ რა ვითარებაა დღეს საქართველოში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის კუთხით, რამდენად არიან ჩართულები ქალები პოლიტიკურ პროცესებსა და თვითმმართველობაში.

**„ქვემო ქართლის ტელეკომპანია“ (ქ. რუსთავი)** - მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანიის ეთერში რამდენიმე სხვადასხვა თოქ-შოუ გავიდა. ისინი ერთმანეთისაგან ფორმატით და წამყვანებით განსხვავდებოდნენ.

რუსთავის მერობის კანდიდატების მონაწილეობით **თოქ-შოუები „თქვენი დრო“** და **„თვითმმართველობის არჩევნები 2014“** მომზადდა.

გადაცემებში მონაწილეობდნენ მერობის კანდიდატები: ალექსანდრე კობაიძე („საქართველოს გზა“), ივანე შათირიშვილი („საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“), ეროსი კიწმარიშვილი („ჩვენი საქართველო“), ალექსანდრე ბერიძე (ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“), ელგუჯა ქოჩიაშვილი („უფლის სახელით-უფალია ჩვენი სიმართლე“), მამუკა ჩიქოვანი (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), დავით ჯიქია (კოალიცია „ქართული ოცნება“), კობა ძლიერიშვილი (ბლოკი „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“), რევაზ რიჟამაძე („ლეიბორისტული პარტია“).

**თოქ-შოუს „თქვენი დრო“** ორი სხვადასხვა წამყვანი ჰყავდა. მონიტორინგის პერიოდში მომზადებული გადაცემები მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თემატიკას შეეხებოდა. წამყვანები პოლიტიკურ სუბიექტებს საარჩევნო პროგრამებისა და

პრიორიტეტების შესახებ ამომწურავი საუბრის საშუალებას აძლევდნენ. მაყურებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ მათი პოლიტიკური ძალების დაგეგმილი აქტივობებისა და სამომავლო გეგმების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიეღოთ. გადაცემები ინტერაქტიული იყო, მაყურებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ სტუმრებისთვის კითხვები პირდაპირ ეთერში დაესვათ.

თოქ-შოუს ერთ-ერთი წამყვანი, ჟურნალისტი ტატო გოგოლაძე იყო, რომელიც გადაცემების მსველობისას დასმული კითხვებით ცდილობდა კანდიდატებისგან ამომწურავი ინფორმაცია მიეღო მათი წარსულის, სამომავლო გეგმებისა და პოლიტიკური შეხედულებების შესახებ. ჟურნალისტი სტუმარს არგუმენტირებული საუბრისკენ მოუწოდებდა და საშუალებას არ აძლევდა დაუზუსტებელი, გადაუმოწმებელი ფაქტები მოეყვანა. გადაცემებში სატელეფონო ზარით ჩართულ მაყურებელს წამყვანი კონკრეტული კითხვების დასმისკენ მოუწოდებდა.

თოქ-შოუ "თქვენი დროს" მეორე წამყვანი ჟურნალისტი ხათუნა მამარდაშვილი იყო. წამყვანი გადაცემებში მიწვეულ სტუმრებს შესაძლებლობას აძლევდა საარჩევნო პროგრამებზე ამომწურავად ესაუბრათ. კანდიდატებს საკუთარ პოლიტიკურ ხედვებზე სასაუბროდ დრო მაქსიმალურად ეძლეოდათ. გადაცემები, ძირითადად, წამყვანსა და სტუმარს შორის კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. ჟურნალისტი სუბიექტებთან პოლემიკაში არ შედიოდა და ზოგადი კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა. თუმცა კრიტიკულ და მწვავე კითხვებს ნაკლებად სვამდა.

თოქ-შოუს წამყვანების მხრიდან სიძულვილის ენის და არაკორექტული ლექსიკის გამოყენების ფაქტები არ დაფიქსირებულა.

მონიტორინგის პერიოდში **თოქ-შოუ „თვითმმართველობის არჩევნები 2014“-ის** ორი გადაცემა (28 მაისი, 4 ივნისი) გავიდა, რომლებსაც ჟურნალისტი ნინო კაპანაძე უძღვებოდა. გადაცემებში მიწვეული იყო რუსთავის მერობის ცხრავე კანდიდატი.

გადაცემების დასაწყისში კანდიდატებს პროგრამულ პრიორიტეტებზე სასაუბროდ 3-3 წუთი ეთმობოდათ. დროის კონტროლი წამზომის საშუალებით ხდებოდა. წამყვანი კითხვებს კანდიდატების სამოქმედო გეგმების, მოსახლეობის პრობლემების გადაჭრის გზებზე და საარჩევნო გარემოს შესახებ სვამდა. ჟურნალისტი სტუმრებთან პოლემიკაში ნაკლებად შედიოდა. იგი, ძირითადად, მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა და სტუმრებს თემიდან გადახვევის დროს, თემასთან დაბრუნებისკენ მოუწოდებდა. 4 ივნისის გამოშვების მეორე ნაწილში სტუმრების მხრიდან მწვევე ურთერთბრალდებების შემცველი რეპლიკები ისმოდა. ჟურნალისტი ცდილობდა სიტუაციის დაბალანსებას, თუმცა კანდიდატების საუბარი ცხარე დებატებში გადაიზარდა და წამყვანს სიტუაციის კონტროლი გაუჭირდა.

9 ივნისს ეთერი დაეთმო „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მომზადებულ თოქ-შოუს „არჩევნები 2014“, რომელსაც ჟურნალისტი ნიკოლოზ რუბაშვილი უძღვებოდა. გადაცემაში მიწვეულები იყვნენ ქალაქ რუსთვის მერობის კანდიდატები. გადაცემა ორი ბლოკისგან შედგებოდა. მერობის 9 კანდიდატიდან, გადაცემას მხოლოდ კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატი დავით ჯიქია არ ესწრებოდა. გადაცემაში ასევე მონაწილეობდნენ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ კანდიდატებისთვის შეკითხვები დაესვათ.

თოქ-შოუ წინასწარ განსაზღვრული ფორმატით მიმდინარეობდა. დასაწყისში წარმოდგენილი იყო კანდიდატების ბიოგრაფიები. საარჩევნო პროგრამის წარსადგენად სტუმრებს თანაბარი დრო ეთმობოდათ. ჟურნალისტი, ძირითადად, კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა და გადაცემის მსვლელობისას საკუთარ პოზიციას არ აფიქსირებდა. მის მიერ დასმული კითხვები აქტუალურ და მნიშვნელოვან სკიოტებს ეხებოდა.

14 ივნისს გადაცემა „აირჩიე ქალაქის მერი“ გავიდა, რომელსაც ჟურნალისტი ზვიად ქორიძე უძღვებოდა. გადაცემა ორგანიზაციის, „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის“ მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით მომზადდა.

გადაცემის სტუმრები იყვნენ ქალაქ რუსთავის მერობის კანდიდატები: ივანე შათირიშვილი („საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“), რევაზ რიჟამაძე („ლეიბორისტული პარტია“), ელგუჯა ქოჩიაშვილი („უფლის სახელით-უფალია ჩვენი სიმართლე“) და ეროსი კიწმარიშვილი („ჩვენი საქართველო“). გადაცემა წინასწარ დადგენილი ფორმატით მიმდინარეობდა. კანდიდატებს მისალმებისთვის 2-2 წუთი დაეთმოთ, რის შემდეგაც ჟურნალისტმა თითოეულ სტუმარს 3-3 შეკითხვა დაუსვა. თითოეულზე პასუხისთვის მათ ორ-ორი წუთი მიეცათ, ხოლო კომენტარებისთვის თითო-თითო წუთი. ჟურნალისტი მათ აზრის დასრულების საშუალებას აძლევდა. გადაცემის დასკვნით ნაწილში მერობის კანდიდატებს შემაჯამებელი კომენტარებისთვის და ამომრჩევლებისადმი მიმართვისთვის 2-2 წუთი დაეთმოთ.

წამყვანის შეკითხვები, ძირითადად, კანდიდატთა საარჩევნო პროგრამებს, სამოქმედო გეგმებს, საარჩევნო გარემოსა და მოსახლეობის პრობლემების გადაჭრის გზებს შეეხებოდა. ჟურნალისტი სტუმრებთან პოლემიკაში არ შედიოდა და მოდერატორის როლს ითავსებდა. თემიდან გადახვევის შემთხვევაში, სტუმარს თემასთან დაბრუნებისკენ მოუწოდებდა.

**„ოდიში“ (ქ. ზუგდიდი)** - მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანია „ოდიშის“ ეთერში **პოლიტიკური დებატები „არჩევნები 2014“**-ის სამი გადაცემა გავიდა. თოქ-შოუ „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მომზადდა. გადაცემები ჟურნალისტ ნანა ქობალიას მიჰყავდა. თოქ-შოუები სამი ნაწილისგან შედგებოდა. პირველ ნაწილში ყურადღება სტუმრების საარჩევნო პროგრამებზე, მთავარ მესიჯებსა და სლოგანებზე კეთდებოდა, მეორე ნაწილი კითხვა-პასუხს ეთმობოდა, ხოლო მესამე - არხის ფეისბუკგვერდზე მაყურებლის მიერ გაკეთებულ კომენტარებს და შეკითხვებს. გადაცემა სტუმრების ამომრჩევლებისადმი მიმართვებით სრულდებოდა.

გადაცემებში მიწვეულები იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური გაერთიანებების (კოალიცია „ქართული ოცნება“, ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ბლოკი „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“, „სახალხო პარტია“, „ერთიანობის დარბაზი“) ზუგდიდის გამგებლობის კანდიდატები და მათი წარმომადგენლები.

ჟურნალისტი ინტერესდებოდა კანდიდატების საარჩევნო პროგრამებით და პრიორიტეტებით. წამყვანი ცდილობდა მათგან დეტალური ინფორმაცია მიეღო.

განსაკუთრებით მწვავედ მიმდინარეობდა 11 ივნისის გადაცემა. დაახლოებით ორსაათიან გადაცემაში ხშირად ისმოდა სტუმართა ურთიერთბრალდებები. განსაკუთრებით ემოციური განცხადებებით ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ წარმომადგენელი თენგიზ ჯგუშია გამოირჩეოდა. წამყვანი სტუმრებს თემასთან ახლოს, კორექტული საუბრისკენ მოუწოდებდა და ცდილობდა სიტუაციის მართვას, თუმცა ზოგჯერ ამას ვერ ახერხებდა.

გადაცემების მსვლელობის მანძილზე მორბენალ სტრიქონში მაყურებლების მიერ გამოგზავნილი კომენტარები გადიოდა. მათ ნაწილი მწვავე და კრიტიკული იყო და ეთერში გასვლამდე არ იცხრილებოდა, ამიტომ ზოგიერთი მათგანი არაეთიკურ გამონათქვამებსაც შეიცავდა.

ჟურნალისტის მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენების ფაქტები არ დაფიქსირებულა, თუმცა პოლიტიკური სუბიექტები განსაკუთრებით არაეთიკური ფრაზების გამოყენებას არ ერიდებოდნენ, რაზეც წამყვანი დროულად არ რეაგირებდა.

გადაცემის სტუმრებს ტიტრები არ უკეთდებოდათ.

**„მე-9 არხი“ (ქ. ახალციხე)** - ტელეკომპანია „მე-9 არხის“ ეთერი ხუთშაბათობით **თოქ-შოუ „დილოგს“** ეთმობოდა, რომელსაც ჟურნალისტი რუსუდან გვარამაძე უძღვებოდა.

მონიტორინგის პერიოდის გადაცემების თემები იყო:



- რატომ უნდა ავირჩიოთ მდებარეობითი სქესის წარმომადგენლები ადგილობრივ თვითმმართველობაში, როგორია მათ როლი პოლიტიკურ პროცესებში;
- როგორ აფასებენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები წელიწადნახევრის განმავლობაში საკრებულოს მუშაობას და რატომ შეიცვალა პოლიტიკური სიმკათიები საკრებულოს თავმჯდომარემ;
- მერობის კანდიდატების საარჩევნო პროგრამები;
- ასპინძის, ადიგენისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების გამგებლობის კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამები და მათი პოლიტიკური ხედვები;

წამყვანი აქტიურად იყო ჩართული თოქ-შოუებში და ცდილობდა ყველა სტუმრისთვის დრო თანაბრად გაენაწილებინა. იგი გადაცემის სტუმრებს აქტუალურ კითხვებს უსვამდა, ინტერესდებოდა თუ რატომ გადაწყვიტეს თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღება. წამყვანი სტუმრებს თემიდან გადახვევის საშუალებას, ძირითადად, არ აძლევდა. ჟურნალისტის მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები ან არაეთიკური გამონათქვამების გამოყენება არ გამოვლენილა. აგრეთვე, არ დაფიქსირებულა წამყვანის მხრიდან რომელიმე სუბიექტის მიმართ მიკერძოებული მიდგომა. განსაკუთრებით მწვავე კომენტარებს მაყურებელი სატელეფონო ჩართვებში აკეთებდა.

9 ივნისს, ტელეკომპანიის ეთერი გადაცემას „აირჩიე ქალაქის მერი“ დაეთმო. თოქ-შოუ ორგანიზაცია „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის“ მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით მომზადდა. თოქ-შოუს ჟურნალისტი რუსუდან გვარამაძე უძღვებოდა.

გადაცემა 30 მაისს ჩაიწერა. მისი ეთერში გასვლის დღეს ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ ახალციხის მერობის კანდიდატ ნატალი სისვაძეს კანდიდატურა მოხსნილი ჰქონდა. ეს ფაქტი, გადაცემის პირველივე კადრზე, ტიტრების სახით დაფიქსირდა.

გადაცემაში მონაწილეობდნენ ქალაქ ახალციხის მერობის კანდიდატები: გელა დემეტრაძე (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), გოჩა კოპაძე (კოალიცია „ქართული ოცნება“), გოჩა ათოშვილი („საქართველოს გზა“), ნატალი სისვაძე (ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“) და ზაზა ნათენაძე (ბლოკი „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“).

გადაცემა წინასწარ დადგენილი ფორმატით მიმდინარეობდა. კანდიდატებს მისალმებისთვის 2-2 წუთი დაეთმო, რის შემდეგაც მათ ჟურნალისტის მიერ მომზადებული სამ-სამ კითხვას უპასუხეს. თითოეულზე საპასუხოდ კანდიდატებს ორ-ორი წუთი მიეცათ, ხოლო

კომენტარებისთვის თითო-თითო წუთი. ჟურნალისტი მათ აზრის დასრულების საშუალებას ამლევდა.

გადაცემა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, ჟურნალისტი მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა.

გადაცემაში არ დაფიქსირებულა სიძულვილის ენისა და არაეთიკური ლექსიკის გამოყენების შემთხვევები.

**„თანამგზავრი“ (ქ. თელავი)** - მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანია „თანამგზავრის“ ეთერში **თოქ-შოუ „დიალოგის“** 6 გადაცემა ( 16, 23, 30 მაისი, 5, 6 და 13 ივნისი) გავიდა.

5 ივნისის გადაცემა „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ მხარდაჭერით **პროექტ „არჩევნები 2014“**-ის ფარგლებში იყო მომზადებული.

გადაცემების წამყვანი ჟურნალისტი ნატო მეგუთნიშვილი იყო, ხოლო თემა - სტუდიაში მყოფი კანდიდატების საარჩევნო პროგრამები და ქალაქში არსებული პრობლემების მოგვარების მათეული გზები.

„დიალოგი“ წინასაარჩევნო რეჟიმში მუშაობდა. დაახლოებით საათნახევრიან გადაცემებს პოლიტიკური დებატების სახე ჰქონდა, მისი სტუმრები იყვნენ პოლიტიკური გაერთიანებების: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „თვითმმართველობა ხალხს“, „არასაპარლამენტო ოპოზიცია“, „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, „ლეიბორისტული პარტია“, „მწვანეთა პარტია“ თელავის მერობის და გამგებლობის კანდიდატები, პარტიული სიის პირველი ნომრები, ასევე არაკვალიფიციური პოლიტიკური სუბიექტებისა და საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები.

გადაცემების დასაწყისში წამყვანი აღნიშნავდა, რომ იგი ყველა დარეგისტრირებულ კანდიდატს იწვევდა, თუმცა, კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები არცერთ გადაცემას არ დასწრებიან, ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატებმა კი გადაცემაში მონაწილეობაზე უარი რამდენჯერმე განაცხადეს. ამ ფაქტმა ჟურნალისტზე იმოქმედა და ის რამდენიმე გადაცემის მსვლელობისას სტუდიის სხვა სტუმრებთან ცდილობდა იმის გარკვევას, თუ რატომ ამბობენ ეს პოლიტიკური პარტიები დებატებში მონაწილეობაზე უარს. ჟურნალისტმა ამ კითხვით პროვოცირება გაუწია სტუმრების მიერ სტუდიაში არმყოფი სუბიექტების მიმართ ნეგატიურ განცხადებებს, 5 ივნისის გადაცემაში კი - სიძულვილის ენას. წამყვანს სტუდიაში მყოფი სტუმრების შეჩერება არ უცდია. ჟურნალისტს არც რესპონდენტების ჰომოფობიური განცხადებების შეჩერება უცდია,

რომელიც 23 მაისის გადაცემაში გაჟღერდა და ჟურნალისტის მიერ ანტიდისკრიმინაციულ კანონზე დასმულმა კითხვამ გამოიწვია.

„დიალოგს“ ხშირად მთავარი სტუმრების გარდა, მათი პარტიების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რომლებიც გადაცემის მსვლელობაში ერთვებოდნენ: პასუხობდნენ წამყვანის კითხვებს და თემის ირგვლივ საკუთარ მოსაზრებებს აფიქსირებდნენ. 5 ივნისის გადაცემაში ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებმაც მიიღეს მონაწილეობა. გადაცემა პირდაპირ ეთერში გადიოდა, მაყურებელს სტუმრებისთვის სატელეფონო ზარის მეშვეობით კითხვის დასმა შეეძლო.

გადაცემებში სხვადასხვა პრობლემაზე, მოსახელობის მიერ დასმულ კითხვებზე, წინასაარჩევნო გარემოზე მომზადებული სიუჟეტები გადიოდა, რაც მათ უფრო დინამიურს ხდიდა.

გადაცემის წამყვანი, ძირითადად, ნეიტრალური და მიუკერძოებელი იყო. ის სტუმრებს დროს თანაბრად, კენჭისყრით განსაზღვრული თანმიმდევრობით უთმობდა, მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა და სტუმრებს გადაცემის თემიდან გადახვევის საშუალებას არ აძლევდა. ჟურნალისტი ხშირად სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებულ ერთ მთლიან კითხვას სვამდა, რაც ცხადი პასუხის მიღების საშუალებას არ იძლეოდა.

გადაცემების მსვლელობისას სტუმრებს არ ჰქონდათ ტიტრები, სარეკლამო ჭრის შემდეგ წამყვანი არ წარადგენდა არც გადაცემის თემას და არც მის სტუმრებს.

**„თრიალეთი“ (ქ. გორი) -** ტელეკომპანია „თრიალეთის“ ეთერში, 19:00 საათზე **თოქ-შოუ „თვითმმართველობის არჩევნები 2014“** გადიოდა. მასში რეგიონში მიმდინარე საარჩევნო პროცესები დეტალურად განიხილებოდა. არხი კვირის მანძილზე რამდენიმე გადაცემას ამზადებდა, სადაც ქალაქ გორის მერობის, გამგებლობისა და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს საარჩევნო პროგრამებზე სასაუბროდ უთმობდა დროს. გადაცემებში მონაწილეობდნენ ქალაქ გორის მერობის კანდიდატები, ასევე გორის, ხაშურის, ქარელის და კასპის მუნიციპალიტეტების გამგებლობის კანდიდატები.

გადაცემებს სხვადასხვა წამყვანი უძღვებოდა, ჟურნალისტები: თეა გიგუაშვილი და ლადო ბიჭაშვილი.

თოქ-შოუს მსვლელობისას ჟურნალისტი თეა გიგუაშვილი კრიტიკულ კითხვებს სვამდა, რესპონდენტებს თავიანთ მოსაზრებებს აკონკრეტებინებდა, რათა მაყურებელს მათი ნათქვამი ზუსტად გაეგო. წამყვანს გადაცემა მომზადებული ჰქონდა და განსახილველ თემებში კარგად ერკვეოდა. თუ რესპონდენტის ნათქვამი, სიმართლეს არ შეესაბამებოდა, წამყვანი მას შეახსენებდა, რომ ნათქვამი სიმართლე არ იყო. ჟურნალისტი ცდილობდა,

სტუმრებს დეტალურად ესაუბრათ საარჩევნო პროგრამებზე, რათა მაყურებელს გაეგო თუ რის გაკეთებას აპირებდნენ გამარჯვების შემთხვევაში.

სტუმრების მიმართ ნაკლებკრიტიკული იყო ჟურნალისტი ლადო ბიჭაშვილი. თუმცა ისიც ცდილობდა სტუმრებს საარჩევნო პროგრამების და ქალაქის განვითარების მათეული გეგმების შესახებ მაყურებლისთვის მეტი ინფორმაცია მიეწოდებინათ. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ თავისუფლად ესაუბრათ, ისინი დროში ნაკლებად შეზღუდულები იყვნენ და აზრის გამოთქმის საშუალება ბოლომდე ეძლეოდათ. გადაცემის ფორმატით გათვალისწინებული იყო, რომ სტუმრებს ერთმანეთის პასუხები შეეფასებინათ. ისინი მწვავე და კრიტიკულ შეფასებებს აკეთებდნენ. წამყვანი კი სიტუაციის დაბალანსებას ცდილობდა. გადაცემების მსვლელობისას მაყურებელს საშუალება ჰქონდა, სტუმრებისთვის სატელეფონო ზარის მეშვეობით შეკითხვები დაესვა.

13 ივნისის თოქ-შოუში გორის მერობის ექვსი კანდიდატი (კოალიცია „ქართული ოცნება“, ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ერთიანობის დარბაზი“, ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“, ბლოკი „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“, „მშრომელთა პარტია“) იყო მიწვეული. გადაცემა ტექნიკური ხარვეზებით მიმდინარეობდა. ხმის ხარვეზების გამო, ეთერი დროებით შეჩერდა. განახლებულ ეთერს კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „მშრომელთა პარტიის“ კანდიდატები აღარ ესწრებოდნენ.

სტუმრებს მაქსიმალური დრო მიეცათ საარჩევნო პროგრამების, ხედვებისა და სამომავლო გეგმების წარსადგენად. მათ წინასაარჩევნო გარემოც შეაფასეს. დროის კონტროლი წამზომით ხდებოდა, თუმცა კანდიდატებს შესაძლებლობა ჰქონდათ თავისუფლად, შეუზღუდავად ესაუბრათ. წამყვანი, ძირითადად, მოდერატორის როლს ასრულებდა. გადაცემა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. ისმოდა კრიტიკული შეფასებებიც, თუმცა დებატები განსაკუთრებით მწვავე არ ყოფილა.

20 მაისიდან ტელეკომპანია „თრიალეთმა“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემის „**დღის თემა**“ მომზადება დაიწყო. მის მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა აქტუალურ თემებზე ვრცელი ინფორმაცია მიეღო. გადაცემას ჟურნალისტი ია გავაშელი უძღვებოდა. მონიტორინგის პერიოდში გასული გადაცემების თემები მრავალფეროვანი იყო: სასჯელალსრულების დეპარტამენტის უფროსის ყოფილი მრჩევლის ლალი მოროშკინას ბრალდებები დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიმართ, სამინისტროებში გაცემული პრემიები და სახელფასო დანამატები, საყდრისის საბადოს ირგვლივ არსებული ვითარება, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება, ქართველი სამხედროების საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა, პოლიტიკური პარტიების დაპირისპირება,

საარჩევნო გარემოს მიმოხილვა, კრიმინოგენული სიტუაციის მიმოხილვა, მედია და ხელისუფლება.

მონიტორინგის სუბიექტები ყველა გადაცემაში არ მონაწილეობდნენ. გადაცემები კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. მიწვეულ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეუზღუდავად ესაუბრათ. ჟურნალისტი მათ ოპონირებას არ უწევდა, მხოლოდ კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა და ზოგჯერ ცდილობდა დეტალები ჩამიების გზით დაეზუსტებინა.

30 მაისის გადაცემა „დებატები“, პროექტ „აირჩიე ქალაქის მერი“ ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით განხორციელდა. გადაცემას ჟურნალისტი ლადო ბიჭაშვილი უძღვებოდა. მას სტუმრად მიწვეული ჰყავდა გორის მერობის ოთხი კანდიდატი. კანდიდატების შერჩევა გამჭვირვალედ, 7 კანდიდატს შორის კენჭისყრის შედეგად, მოხდა. გადაცემაში მონაწილეობდნენ: ზურაბ ჯირკველიშვილი (კოალიცია „ქართული ოცნება“), მამუკა ნოზაძე (ბლოკი „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“), არჩილ საბიაშვილი (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), ვასილ ბუთხუზი (ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“). გადაცემას მკაფიოდ განსაზღვრული ფორმატი ჰქონდა, სტუმრებს თანაბარი დრო მიეცათ საარჩევნო პროგრამების, ხედვებისა და სამომავლო გეგმების წარსადგენად. მათთვის მიცემული დროის კონტროლი წამზომის საშუალებით ხორციელდებოდა. ჟურნალისტი მოდერატორის როლში გვევლინებოდა და კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა.

ტელეკომპანია „თრიალეთის“ გადაცემების მთავარი ტექნიკური პრობლემა ტიტრების არარსებობა იყო, რაც ართულებდა სტუმრის თუ წამყვანის ვინაობის გარკვევას.

**„გურია“ (ქ. ოზურგეთი)** - მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანია "გურიის" ეთერში მონიტორინგის სუბიექტების მონაწილეობით **თოქ-შოუს „თქვენთან ერთად“** 4 გადაცემა ( 21 და 30 მაისი, 4 და 6 ივნისი) გავიდა. 45-60 წუთიანი გადაცემის წამყვანი ჟურნალისტი თამთა დოლიძე იყო. გადაცემებს პოლიტიკური დებატების სახე ჰქონდა და მათი თემები იყო: ქალის როლი ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტილების მიღების პროცესში; საარჩევნო სუბიექტების პროგრამები, მუნიციპალიტეტებში არსებულ პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. გადაცემის სტუმრები კი იყვნენ პოლიტიკური გაერთიანებების (კოალიცია „ქართული ოცნება“, ბლოკი „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“, ბლოკი „ერთიანი

ნაციონალური მოძრაობა“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“) ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების გამგებლობის კანდიდატები, ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობის ქალი კანდიდატები და „გენდერული თანასწორობის ქსელის“ ხელმძღვანელი.

წამყვანის თქმით, გადაცემებში სხვა პარტიების წარმომადგენლებსაც იწვევდა, მაგრამ ისინი სტუმრობაზე უარს აცხადებდნენ.

გადაცემების მსვლელობის დროს სტუმრები ხშირად სცდებოდნენ თემას, გადადიოდნენ ერთმანეთის ბრალდებებსა და სიტყვიერ დაპირისპირებაზე. წამყვანს პროცესის მართვა და სტუმრების შეჩერება უჭირდა. ჟურნალისტი გადაცემისთვის სათანადოდ არ იყო მომზადებული, არ ფლობდა სრულყოფილ ინფორმაციას მუნიციპალიტეტებში დარეგისტრირებული კანდიდატების რაოდენობისა და ვინაობის შესახებ. ჟურნალისტი, ძირითადად, მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა, ზოგჯერ კი თემატურად, სტუმრების პასუხებიდან გამომდინარე, სვამდა კითხვებს. წამყვანი ცდილობდა, ყოფილიყო ნეიტრალური და ობიექტური, ყველა სტუმარს აძლევდა პასუხის გაცემისა და აზრის დასრულების საშუალებას, დროს კი თითქმის თანაბრად, კენჭისყრით განსაზღვრული რიგობით უთმობდა.

გადაცემა პირდაპირ ეთერში გადიოდა და მაყურებელი სატელეფონო ზარის მეშვეობით სვამდა კითხვებს. გადაცემების მსვლელობისას რამდენჯერმე მოსახლეობის მიერ დასახელებული პრობლემების ამსახველი სიუჟეტიც გავიდა.

გადაცემის სტუმრებს საუბრის დროს არ ჰქონდათ ტიტრები.

13 ივნისს კი ტელეკომპანია „გურიის“ ეთერში 30 წუთიანი მასალა გავიდა, რომელიც „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ახალგაზრდული მიმართულების წევრების ქალაქ ოზურგეთის მერობის კანდიდატებთან შეხვედრის შესახებ იყო მომზადებული.

მერობის კანდიდატები: ლევან გოგუაძე (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), შოთა გოგიბერიძე („საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“), მირზა ჩხიკვიშვილი („ლეიბორისტული პარტია“), ივანე ტაბატაძე („საქართველოს გზა“), ბეგლარ სიორიძე (კოალიცია „ქართული ოცნება“), კახა ჩავლეიშვილი (ბლოკი „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“), ირმა კვაჭანტირაძე (ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“), - ახალგაზრდების კითხვებს პასუხობდნენ, რომლებიც ქალაქში არსებულ სხვადასხვა პრობლემას შეეხებოდა. თითოეული კანდიდატი დასახელებული პრობლემების გადაჭრის მისეულ გზებზე საუბრობდა.

**„იმერვიზია“ (ქ. ჭიათურა)** - მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანია „იმერვიზიით“ ერთი თოქ-შოუ გავიდა. 23 მაისს მაუწყებლის ეთერი **ტელედებატებს „არჩევნები 2014“** დაეთმო, რომელსაც ჟურნალისტი ინგა ჯაჯანიძე უძღვებოდა. გადაცემა „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მომზადდა. გადაცემაში თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური გაერთიანებების წარმომადგენლები იყვნენ მიწვეულნი. თოქ-შოუში საარჩევნო პროგრამების შესახებ საინიციატივო ჯგუფის, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“, ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“, ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციისა“ და „ლეიბორისტული პარტიის“ ჭიათურის მაჟორიტარი დეპუტატობისა და გამგებლობის კანდიდატებმა ისაუბრეს.

სტუმართა საუბრის რიგითობა წილისყრით განისაზღვრა. მათ საარჩევნო პროგრამების წარსადგენად დრო თანაბრად მიეცათ, ჩართული იყო წამზომი. გადაცემა ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველ ნაწილში პოლიტიკურ სუბიექტებს პროგრამების წარდგენისთვის 3-3 წუთი მიეცათ. მეორე ნაწილში სტუმრებმა ჟურნალისტის კითხვების გარდა, არასამთავრობო სექტორისა და ამომრჩევლების შეკითხვებსაც უპასუხეს.

წამყვანი, ძირითადად, მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა. სტუმრებს აზრის გამოხატვის საშუალებას თავისუფლად აძლევდა, საუბარს არ აწყვეტინებდა, თუმცა, თემიდან გადახვევის საშუალებასაც არ აძლევდა. ჟურნალისტი სტუმრებს კონკრეტული, არგუმენტირებული საუბრისკენ მოუწოდებდა. გადაცემის მაყურებელს ამომწურავი ინფორმაციის მიღების საშუალება ჰქონდა. წამყვანის მხრიდან სტუმრების მიმართ მიკერძოებული, სუბიექტური დამოკიდებულება არ იგრძნობოდა. არ დაფიქსირებულა სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები.

**„გურჯაანი“ (ქ. გურჯაანი)** - ტელეკომპანია გურჯაანის ეთერში პარასკევობით თოქ-შოუ **„ძალა უძალოთა“** გადიოდა, რომელიც ჟურნალისტი ლევან ალექსიშვილს მიჰყავდა. თოქ-შოუ ორი ბლოკისგან შედგებოდა.

მონიტორინგის პერიოდში თოქ-შოუებში შემდეგი თემები განიხილეს:

- პოლიტიკურ პროცესებში ქალების მონაწილეობის მნიშვნელობა; კახეთის რეგიონში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე ქალები და მათი პროგრამები;
- კახეთის რეგიონში მიმდინარე წინასაარჩევნო პროცესები, პოლიტიკური ძალების პროგრამული გეგმები და პრიორიტეტები;
- გამგებლობის კანდიდატების საარჩევნო პროგრამები.

გადაცემების სტუმრები იყვნენ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური გაერთიანებების (კოალიცია „ქართული ოცნება“, ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ბლოკი „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“, „საქართველოს გზა“) გურჯაანის, ლაგოდეხისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტების გამგებლობის კანდიდატები და პარტიების რეგიონული ოფისების წარმომადგენლები. სტუმართა შორის იყვნენ არასამთავრობო სექტორის და საზოგადოების აქტიური წარმომადგენლებიც.

13 ივნისის გადაცემის მეორე ბლოკის სტუმრები ყვარლის გამგებლობის კანდიდატები უნდა ყოფილიყვნენ. წამყვანის თქმით, მან ხუთივე კანდიდატი მიიწვია, თუმცა გადაცემაში მონაწილეობა მხოლოდ ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა, ხატია დეკანოიძემ მიიღო.

წამყვანი სტუმრების მიმართ საკმაოდ მომთხოვნი იყო. იგი მიწვეულ სტუმრებს ნათქვამის, განსხვავებული მოსაზრების არგუმენტირებულ დასაბუთებას სთხოვდა. წამყვანის ტექსტისა და კითხვების საშუალებით მაყურებლისთვის გადაცემა უფრო საინტერესო და ინფორმაციულად დატვირთული იყო. იგი საპირისპირო არგუმენტებით ოპონირებას უწევდა სტუმრებს.

ლევან ალექსიშვილი გადაცემის რესპონდენტებთან ერთად ცდილობდა წარმოდგენილი თემის სიღრმისეულ ანალიზს. თუმცა, იცავდა ბალანსს და საკითხის მიმართ საკუთარ პოზიციას ნაკლებად აფიქსირებდა. იგი ნეიტრალური იყო. ჟურნალისტის მხრიდან სიმულვილის ენის გამოყენების შემთხვევები ან არაეთიკური გამონათქვამების გამოყენება არ გამოვლენილა. გადაცემების მეორე ბლოკში მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა სატელეფონო ზარის მეშვეობით სტუმრებისთვის კითხვები დაესვა. მაყურებელი ამ შესაძლებლობას მაქსიმალურად იყენებდა.

6 ივნისს თოქ-შოუ „ძალა უძალოთას“ საეთერო დრო გადაცემა „არჩევნები 2014“-ს დაეთმო, რომელიც „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მომზადდა.

ჟურნალისტ ლევან ალექსიშვილს გადაცემაში მიწვეული ჰყავდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატები ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციიდან“ და „საქართველოს გზიდან“.

გადაცემის თემა გამგებლობის კანდიდატების საარჩევნო პროგრამები იყო.

წამყვანმა სტუმრებს საშუალება მისცა მაყურებლისთვის ბიოგრაფიები გაეცნოთ, პროგრამაზე ესაუბრათ და განემარტათ თუ როგორ აპირებენ რაიონში არსებული პრობლემების მოგვარებას. წამყვანი დეტალურად ინტერესდებოდა კანდიდატების პროგრამაში გაწერილი საკითხებით.



დარბაზში სამივე პოლიტიკური ძალის მხარდამჭერები იმყოფებოდნენ. მათ შეეძლოთ კანდიდატებისთვის კითხვები დაესვათ. გადაცემის მეორე ნახევარში მაყურებელს საშუალება ჰქონდა სატელეფონო ზარების საშუალებით გამგებლობის კანდიდატებისთვის კითხვები დაესვა. გადაცემა ინტერაქტიული იყო. ჟურნალისტი ცდილობდა გადაცემის სტუმრებისგან ყველა იმ კითხვაზე მიეღო პასუხი, რომლითაც მაყურებელი ინტერესდებოდა.

**„მეგა ტვ“ (ქ. ხონი)** - მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანიის სადამოს ეთერი **თოქ-შოუ „დებატებს“** ეთმობოდა. გადაცემას ჟურნალისტი თიკო კიკაბიძე უძღვებოდა.

„დებატები“ წინასწარ განსაზღვრული ფორმატით მიმდინარეობდა. მისალმება (30 წმ.), კითხვა-პასუხი, (2 წთ.), ურთიერთშეფასებისთვის წუთნახევარი, კომენტარისთვის 30 წამი. გარდა ამისა, სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ ერთმანეთისთვის თითო კითხვა დაესვათ. გადაცემის ბოლოს ამომრჩევლისთვის მისამართად მათ 30 წამი ეძლეოდათ. გადაცემების თემა არჩევნებში მონაწილე კანდიდატების საარჩევნო პროგრამები იყო.

გადაცემების სტუმრები იყვნენ პოლიტიკური ძალების (ბლოკი „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“, ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“, კოალიცია „ქართული ოცნება“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, ბლოკი „თვითმმართველობა ხალხს“, „სახალხო პარტია“, „ლეიბორისტული პარტია“, „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“) ხონის, სამტრედიის, წყალტუბოს და მარტვილის რაიონის გამგებლობის და საკრებულოს მაჟორიტარობის, ასევე დამოუკიდებელი მაჟორიტარობის კანდიდატები.

გადაცემებში მონაწილეობდნენ ქუთაისის მერობის კანდიდატები: ირაკლი კიკვაძე („ლეიბორისტული პარტია“), ალექსანდრე კეზევაძე („საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“) და თეიმურაზ შამიაშვილი (ბლოკი „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“).

მიუხედავად „დებატების“ მკაცრად განსაზღვრული წესებისა, სტუმრები შეზღუდულები არ იყვნენ. მათ თანაბრად ეძლეოდათ დრო საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად. გადაცემის წამყვანი კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა და საკუთარ პოზიციას არ აფიქსირებდა. ჟურნალისტი კანდიდატების საარჩევნო პროგრამებით ინტერესდებოდა და პრიორიტეტების შესახებ ეკითხებოდა. წამყვანი ცდილობდა გაერკვია როგორ აპირებენ კანდიდატები წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას, თუმცა კრიტიკული კითხვების დასმით არ გამოირჩეოდა. დისკუსიის გამწვავების დროს ჟურნალისტი სტუმრებს კორექტული საუბრისკენ მოუწოდებდა და ცდილობდა სიტუაცია დაებალანსებინა.

მიუხედავად წინასწარ განსაზღვრული ფორმატისა და წამყვანის მცდელობისა ყველა სტუმრისთვის თანაბრად დაეთმო დრო, 2 ივნისის გადაცემა „საქართველოს პატრიოტთა

ალიანსის“ კანდიდატმა პროტესტის ნიშნად დატოვა. მან ტელეარხი დებატების არათანაბარ პირობებში წარმართვაში დაადანაშაულა. ინცინდენტის შემდეგ გადაცემა სტუდიაში დარჩენილ სტუმრებთან ერთად ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდა.

6 და 11 ივნისის „მეგა ტვ“-ს ეთერში გავიდა **თოქ-შოუ „არჩევნები 2014“**, რომელსაც ნანა თვალაბეიშვილი უძღვებოდა. გადაცემები ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით მომზადდა.

6 ივნისის გადაცემაში მიწვეულები იყვნენ ქუთაისის მერობის კანდიდატები: შოთა მურდულია (კოალიცია „ქართული ოცნება“), გიორგი თევდორაძე (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) და თეიმურაზ შაშიაშვილი (ბლოკი „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“). გადაცემა წინასწარ განსაზღვრული ფორმატით მიმდინარეობდა. ჟურნალისტმა გადაცემის დასაწყისშივე განაცხადა, რომ მხოლოდ მოდერატორის ფუნქციას შეასრულებდა და სტუმრებს კითხვებს დაუსვამდა. მას დათმობილი დროის კონტროლიც ევალებოდა. კანდიდატების საუბრის რიგითობა კენჭისყრით იყო განსაზღვრული. სტუმრებს საარჩევნო პროგრამებზე სასაუბროდ დრო თანაბრად ეძლეოდათ. გადაცემა მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა და სიძულვილის ენის ან არაეთიკური გამოთქმების გამოყენების შემთხვევები არავის მხრიდან დაფიქსირებულა.

11 ივნისის გადაცემაში ქუთაისის მერობის ოთხ კანდიდატს შორის დებატები უნდა გამართულიყო, მაგრამ გადაცემაში მხოლოდ ერთი, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მერობის კანდიდატი ალექსანდრე კეზევაძე მივიდა. ნანა თვალაბეიშვილმა განაცხადა, რომ მაგდა გაბრიჩიძემ (ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“), ირაკლი კიკვაძემ („საქართველოს ლეიბორისტული პარტია“) და ხათუნა მაჭავარიანმა (ბლოკი „თვითმმართველობა ხალხს“) გადაცემაში არმისვლის მიზეზად შემოქმედებითი ჯგუფისთვის არაარგუმენტირებული მიზეზები დაასახელეს. შედეგად, ეთერში დებატების ნაცვლად, დიალოგი გაიმართა. ჟურნალისტი დაინტერესდა თუ რა იყო ის პრობლემები, რომელსაც გამარჯვების შემთხვევაში ალექსანდრე კეზევაძე გადაჭრიდა, როგორ გაანაწილებდა ბიუჯეტს და როგორი იქნებოდა მისი საკადრო პოლიტიკა.

**გადაცემა „დისკურსს“** არხის საღამოს ეთერი ოთხშაბათობით ეთმობოდა. მისი წამყვანი ჟურნალისტი ნანა თოშხუა იყო. მონიტორინგის ქვეშ მხოლოდ ორი გადაცემა მოექცა. დანარჩენი გადაცემის სტუმრები მონიტორინგის სუბიექტები არ ყოფილან, არც თემები შეეხებოდა საარჩევნო საკითხებს.

„დისკურსში“ სახვადასხვა აქტუალურ თემებზე საუბრობენ. 21 მაისის გადაცემაში მიწვეულმა საია-ს ქუთაისის ოფისის წარმომადგენელმა მათ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებზე ისაუბრა, სადაც მთლიანად ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო გარემო იყო შეფასებული. 28 მაისის გადაცემაში მიწვეულმა „ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელმა კი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე გაამახვილა ყურადღება. გადაცემის წამყვანი სტუმრებს კითხვებს უსვამდა, თუმცა საკუთარ პოზიციას თითქმის არ აფიქსირებდა. იგი ცდილობდა თემის დეტალებზე მაყურებელს დეტალური ინფორმაცია მიეღო. გადაცემა, ძირითადად, კითხვა-პასუხის რეჟიმში, მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა. სტუმრებს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება მაქსიმალურად ეძლეოდათ.

**„მე-9 ტალღა“ (ქ. ფოთი) –** ტელეკომპანია „მე-9 ტალღის“ ეთერში პარასკევობით **თოქ-შოუ „თემა“** გადიოდა. ერთსაათიანი გადაცემა ჟურნალისტ თეა აბსარიძეს ორ ნაწილად ჰქონდა გაყოფილი. მან ფოთის მერობის კანდიდატებს ორი გადაცემა დაუთმო. მათ გარდა გადაცემების სტუმრები იყვნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, კოალიცია „ქართული ოცნების“, „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“, „საქართველოს გზის“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“, „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობის“, აგრეთვე საინიციატივო ჯგუფის ფოთის მაჟორიტარული ოლქების კანდიდატები და პროპორციული სიების პირველი ნომრები, აგრეთვე ამავე პოლიტიკური გაერთიანებების ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები. თოქ-შოუების თემა კანდიდატების საარჩევნო პროგრამები და დაპირებები იყო.

წამყვანი კანდიდატების პრიორიტეტებით ინტერესდებოდა და ცდილობდა გაერკვია თუ რატომ უნდა მიეცა მათთვის ამომრჩეველს ხმა. თეა აბსარიძე კრიტიკულ კითხვებს ნაკლებად სვამდა. ჟურნალისტი თოქ-შოუების მსვლელობაში აქტიურად არ იყო ჩართული. ის მშრალი კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა და, ძირითადად, მოდერატორის როლს ასრულებდა. იმ შემთხვევებში, თუ რესპონდენტების საუბარი ფაქტებით გამყარებული არ იყო, წამყვანი მათ არგუმენტირებული საუბრისკენ მოუწოდებდა. ჟურნალისტი ცდილობდა სტუმრებისთვის დრო თანაბრად გაენაწილებინა. გადაცემაში მიწვეულ კანდიდატებს საშუალება ჰქონდათ მაყურებლისთვის საარჩევნო პროგრამები და ხედვები გაეცნოთ. სტუმრებს შეეძლოთ კითხვები ერთმანეთისთვისაც დაესვათ. ამ შესაძლებლობას ისინი აქტიურად იყენებდნენ.

14 ივნისის გადაცემაში ფოთის მერობის კანდიდატმა დავით ქანთარიაშვილმა ოპონენტის მიმართ, რომელიც სტუდიაში არ იმყოფებოდა, არაკორექტული ლექსიკა გამოიყენა, კოალიციის

მერობის კანდიდატმა მას კორექტულობისკენ მოუწოდა. ჟურნალისტი ამ საუბარში არ ჩარეულა. ის მხოლოდ უსმენდა. სტუდიაში მყოფი სტუმრების შეჩერება არ უცდია და არც ის შეუხსენებია, რომ კორექტულად უნდა ესაუბრათ. ფოთის მერობის ორი კანდიდატის დისკუსია კამათში გადაიზარდა და თემას გასცდა, ჟურნალისტს მომგვიანებით გაახსენდა რომ სტუმრები სხვა თემაზე საუბრობდნენ და მოუწოდა, კამათი დაესრულებინათ.

**„არგო“ (ქ. ზესტაფონი)** - არხზე მონიტორინგის პერიოდში მხოლოდ ერთ თოქ-შოუ გავიდა. 22 მაისს ეთერი **ტელედებატებს**, **„არჩევნები 2014“ დაეთმო**. გადაცემა „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად იყო მომზადებული. დებატები ჟურნალისტ მარინა ჯუღელს მიჰყავდა.

გადაცემის სტუმრები იყვნენ: ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“, ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“, ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „საქართველოს გზის“ ზესტაფონის გამგებლობის კანდიდატები. გადაცემაში მონაწილეობა ვერ მიიღო კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატმა, რადგან იგი ქალაქში არ იმყოფებოდა.

გადაცემის მსვლელობისას ჟურნალისტი ინტერესდებოდა თითოეული კანდიდატის საარჩევნო პროგრამით. ეთერში გავიდა სიუჟეტი, სადაც მოქალაქეები ადგილობრივ პრობლემებზე საუბრობდნენ. ჟურნალისტი დაინტერესდა გამარჯვების შემთხვევაში რას გააკეთებდა თითოეული კანდიდატი ამ პრობლემების მოსაგვარებლად და რა რესურსი გააჩნდათ ამისთვის. მოგვიანებით სტუდიაში მყოფ გამგებლობის კანდიდატებს ადგილობრივი მედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა ტელეკითხვები დაუსვეს. გადაცემაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი მაყურებლებიც, რომლებიც სატელეფონო ზარის მეშვეობით გამგებლობის კანდიდატებს კითხვებს უსვამდნენ.

დებატები „არგოს“ ეთერში განმეორებით 23 მაისს გავიდა.

**„მარნეული ტვ“ (ქ. მარნეული)** – 12 მაისი-15 ივნისის პერიოდში ტელეკომპანია „მარნეული ტვ“-ის ეთერში მონიტორინგის სუბიექტების შესახებ და მათი მონაწილეობით რამდენიმე გადაცემა გავიდა.

13 მაისს ეთერი დაეთმო **გადაცემას „კითხვები გამგებელთან“**. მისი სტუმარი მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე იყო. გადაცემა პირდაპირ ეთერში გადიოდა. დაახლოებით ერთსაათიანი გადაცემის წამყვანი ჟურნალისტი ნონა სამხარაძე იყო. მაყურებელს საშუალება ჰქონდა გადაცემის მსვლელობისას სატელეფონო ზარის მეშვეობით სტუმრისთვის კითხვები დაესვა. მაგრამ მხოლოდ ორმა მაყურებელმა დარეკა.

გადაცემა „კითხვები გამგებელთან“ თვეში ერთხელ მზადდება და ის თვითმმართველობის ერთთვიან მუშაობას აჯამებს. გამგებლის მოადგილემ ბოლო ერთი თვის განმავლობაში განხორციელებულ და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრა. წამყვანი აქტიურად ერთვებოდა სტუმრის საუბარში, უსვამდა მწვავე კითხვებს ქალაქში არსებულ კონკრეტულ პრობლემებსა და თვითმმართველობის საქმიანობასთან დაკავშირებით. ცდილობდა დაეხუსტებინა სტუმრის პასუხები. ჟურნალისტი მომზადებული იყო, იცნობდა არსებულ პრობლემებს და მოსახლეობის მოთხოვნებს თვითმმართველობის მიმართ.

მონიტორინგის ქვეშ ასევე მოხვდა ტელედებატები „არჩევნები 2014“-ის 3 გადაცემა (29 მაისი, 9 და 12 ივნისი). 29 მაისის გადაცემა „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად პროექტ „არჩევნები 2014“-ის ფარგლებში მომზადდა. 29 მაისისა და 9 ივნისის გადაცემა დაახლოებით საათნახევარი გაგრძელდა, 12 ივნისის - 30 წუთი. „არჩევნები 2014“-ის წამყვანი ნანა სისვამე იყო. გადაცემების თემები კანდიდატების საარჩევნო პროგრამები და რაიონში არსებულ პრობლემები იყო.

გადაცემების სტუმრები იყვნენ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“, „მომავალი საქართველოს“, „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“, კოალიცია „ქართული ოცნების“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „მერაბ კოსტავას საზოგადოების“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ადგილობრივი ორგანიზაციების ლიდერები, გამგებლობისა და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები, აგრეთვე მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატი.

წამყვანი სტუმრებს დროს თითქმის თანაბრად, კენჭისყრით განსაზღვრული რიგითობით უნაწილებდა. თუმცა, 9 ივნისის გადაცემის მსვლელობისას გადაცემის თემა და საუბრის განსაზღვრული რიგითობა დაიკარგა. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ერთმანეთს სხვადასხვა ბრალდებას უყენებდნენ და ერთმანეთის კითხვებზე ითხოვდნენ პასუხის გაცემას, ჟურნალისტს გადაცემის პროცესის მართვა გაუჭირდა.

12 ივნისის გადაცემაში, წამყვანის თქმით, მას მიწვეული ჰყავდა მარნეულის 22-ე საოლქო კომისიაში დარეგისტრირებული 9 კანდიდატი, რომელთაგან სტუმრობას მხოლოდ ერთი დათანხმდა. ჟურნალისტი მოუმზადებელი იყო და სტუმრების შესახებ სათანადო ინფორმაციას არ ფლობდა. მან ჩამოთვალა ეს კანდიდატები რომელ საარჩევნო ოლქებში მონაწილეობენ არჩევნებში, თუმცა არ განუმარტავს რომელ პარტიებს წარმოადგენდნენ. ჟურნალისტს ასევე არ დაუსახელებია ვის წარმოადგენდა სტუდიაში მყოფი სტუმარი და მხოლოდ გადაცემის მსვლელობისას, მისი საუბრიდან გაირკვა, რომ მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატი იყო. იგი აზერბაიჯანულ ენაზე საუბრობდა. გადაცემას

თარჯიმანიც ესწრებოდა, თარგმნა სინქრონში არ ხდებოდა და სტუმრის საუბარი დაახლოებით 2 წუთიანი ინტერვალებით ითარგმნებოდა.

წამყვანი, ძირითადად, მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა. ის სტუმრების საუბარში ნაკლებად ერეოდა და კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა. ჟურნალისტი ცდილობდა მიუკერძოებელი და ნეიტრალური ყოფილიყო. სტუმრებისთვის კითხვის დასმა, სატელეფონო ზარის მეშვეობით, მაყურებელსაც შეეძლო. 29 მაისის გადაცემის მესამე ნაწილში ეთერში გავიდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მოსახლეობის კითხვები, რომლებსაც ისინი გადაცემის სტუმრებს უსვამდნენ, რამაც გადაცემა უფრო დინამიური გახადა.

გადაცემების სტუმრებს საუბრის დროს ხშირად არ ჰქონდათ ტიტრები.

13 ივნისს ეთერში გავიდა ათწუთიანი **სპეციალური გადაცემა** კოალიცია „ქართული ოცნების“ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატის მერაბ თოფჩიშვილის კანდიდატურის შესაძლო მოხსნასთან დაკავშირებით. გადაცემის წამყვანი ნანა სისვაძე იყო. გადაცემის სტუმრები იყვნენ მერაბ თოფჩიშვილის მხარდამჭერთა დარბაზის ხელმძღვანელი და კოალიცია „ქართული ოცნების“ ადგილობრივი ორგანიზაციის წევრი. კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი აზერბაიჯანულ ენაზე საუბრობდა, რაც არ უთარგმნიათ. ჟურნალისტს მაყურებლისთვის ამბის წინაისტორია არ შეუხსენებია და გაუგებარი იყო, საერთოდ რატომ დადგა „ქართული ოცნების“ გამგებლობის კანდიდატის მოხსნის საკითხი.

13 ივნისს ეთერში გავიდა 40 წუთიანი მასალა **პროექტის „ინფორმაციული საზოგადოება სამართლიანი არჩევნებისთვის“** შესახებ. პროექტს „სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი“ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს. მასალაში ნაჩვენებია იყო პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს არჩევნებისა და თვითმმართველობის რეფორმის შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლებას.

**„ბორჯომი“ (ქ. ბორჯომი)** - მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანია „ბორჯომის“ ეთერში **თოქ-შოუ „ფორუმის“** 8 გადაცემა (12 და 16 მაისი, 3, 4, 9, 10, 11 და 13 ივნისი) გავიდა. „ფორუმი“ ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით ხორციელდება და მისი წამყვანი ჟურნალისტი ეკა ნოზაძე იყო. გადაცემების თემები იყო: პოლიტიკური პარტიების ნდობა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) კვლევების მიმართ, საარჩევნო

სუბიექტების რეგისტრაციის ვადის გასვლა, კანდიდატების საარჩევნო პროგრამები და გამარჯვების შემთხვევაში განსახორციელებელი პროექტები. გადაცემის სტუმრები იყვნენ: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „ლეიბორისტული პარტიის“, კოალიცია „ქართული ოცნების“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“, „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობის“ და საინიციატივო ჯგუფების ბორჯომის, ტაძრისის, ტბის, ბალანთის, დვირის, ახალდაბის, წაღვერის, ყვიბისის, ბაკურიანის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები; ბორჯომში მოქმედი პოლიტიკური პარტიების ლიდერები; აგრეთვე ბორჯომის 36-ე საოლქო კომისიის თავმჯდომარე.

წამყვანის თქმით, ის სტუმრად ყველა დარეგისტრირებულ კანდიდატს პატიჟებდა, თუმცა, ზოგიერთი გადაცემაში მონაწილეობაზე უარს ამბობდა. გადაცემებს ხშირად ძირითადი სტუმრების გარდა, მათივე პარტიების წარმომადგენლები და მხარდამჭერები ესწრებოდნენ.

„ფორუმი“ დაახლოებით 30 წუთი - საათნახევარი გრძელდებოდა. გადაცემის წამყვანი, ძირითადად, მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა. ის იყო ნეიტრალური, ობიექტური და ცდილობდა ყველა სტუმრისთვის თანაბრად დაეთმო დრო. ამასთანავე, იგი სტუმრებს აზრის დამთავრების საშუალებას აძლევდა, აზუსტებდა მათ პასუხებს და გადაცემის თემიდან გადახვევის საშუალებას არ აძლევდა. წამყვანი ცდილობდა დასმულ კითხვებზე ყველა სტუმრისგან მიეღო პასუხი. სვამდა ყველა იმ კითხვას, რაც შეიძლება მაყურებელს გასჩენოდა არჩევნების პროცესთან დაკავშირებით. ჟურნალისტი კარგად იყო მომზადებული და კანდიდატების შესახებ ინფორმაციას სრულად ფლობდა. სტუმრები წამყვანის კითხვებს წინასწარ ჩატარებული კენჭისყრით განსაზღვრული რიგითობით პასუხობდნენ.

წამყვანს გაუჭირდა 13 ივნისის გადაცემის მართვა, რადგან დებადებები კამათში გადაიზარდა. ნეგატიური განცხადებებით განსაკუთრებით „ლეიბორისტული პარტიის“ წარმომადგენელი გამოირჩეოდა.

გადაცემა პირდაპირ ეთერში გადიოდა და მაყურებლის კითხვის დასმა სატელეფონო ზარებით შეეძლო.

გადაცემის დასაწყისში წამყვანი თავს არ წარადგენდა და არც სტუმრებს ჰქონდათ ტიტრები.

22 მაისს გავიდა **პოლიტიკური დებატები „არჩევნები 2014“**, რომელიც „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ მხარდაჭერით მომზადდა. მასაც ჟურნალისტი ეკა ნოზაძე უძღვებოდა. გადაცემის სტუმრებს და სტუდიაში მიწვეულ მათ მხარდამჭერებს წამყვანმა თანაბარი დრო დაუთმო. იგი ცდილობდა ბალანსის დაცვას, იყო მიუკერძოებელი და ნეიტრალური. ჟურნალისტი, ძირითადად, მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა,

კენჭისყრით განსაზღვრული რიგითობით რესპონდენტებს ერთიდაიმავე კითხვას უსვამდა და დროს წამზომის მეშვეობით უნიშნავდა. დებატები დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა.

12 ივნისს ეთერში გადაცემა „გენდერი და საზოგადოება“ გავიდა. მის წამყვანს თავი არ წარუდგენია. ეს გადაცემა პროექტის „ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისათვის“ ფარგლებში მომზადდა. მას „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ახორციელებს. მისი პარტნიორები არიან: ფონდი „ტასო“, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი და გალის რაიონში მოქმედი არსამთავრობო ორგანიზაცია.

დაახლოებით 40 წუთიანი გადაცემის თემა ქალი და პოლიტიკა იყო, რა ფაქტორები უწყობს ხელს ქალების პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობას. გადაცემის სტუმრები იყვნენ ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლები. მათ საუბრისთვის თითქმის თანაბარი დრო დაეთმოთ. წამყვანი გადაცემის თემისთვის მომზადებული იყო. ეთერში გავიდა სიუჟეტი, რამაც გადაცემა დინამიური გახადა.

ტელეკომპანიის ეთერი 13 და 14 ივნისს დაეთმო ტელეხიდს „ინტერაქტივი“. იგი სამცხე-ჯავახეთის მედიაცენტრის, ტელეკომპანიების „ბორჯომი“ და „მე-9 არხი“ (ქ. ახალციხე) და „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ ერთობლივი პროდუქტია, რომელიც „დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდის“ (NED) მხარდაჭერით მზადდება.

გადაცემა სამი სტუდიის ტელეხიდს წარმოადგენს. მისი წამყვანი „ბორჯომის“ სტუდიაში ჟურნალისტი ეკა ნოზაძეა, „მეცხრე არხის“ სტუდიაში - ჟურნალისტი თაკო ფეიქრიშვილი. სამივე სტუდიაში თითო სტუმარი იყო მიწვეული, რომლებიც გადაცემებში კონკრეტულ თემებზე საუბრობდნენ. გადაცემების თემები იყო: თვითმმართველობის რეფორმა, ბიუჯეტის ცვლილებები, მოსახლეობის ჩართულობა თვითმმართველობის პროცესში; წინასაარჩევნო გარემო, რეგისტრაციიდან მოხსნილი სუბიექტები.

გადაცემები დაახლოებით 40 წუთი გაგრძელდა, თითოეულ მათგანში თემასთან დაკავშირებით მომზადებული თითო სიუჟეტი გავიდა. გადაცემების მსვლელობაში ყველა სტუმარი თანაბრად ერთვებოდა. მათ საუბარში წამყვანებიც ერთვებოდნენ და დამატებით კითხვებს სვამდნენ.



**„დია“ (ქ. ხაშური)** - მონიტორინგის განმავლობაში ტელეკომპანია „დიას“ ეთერში **„ნინო ჩიბჩიურის თოქ-შოუს“** პირველი გადაცემა 31 მაისს გავიდა.

ჟურნალისტს გადაცემებში მიწვეული ჰყავდა გორის მერობის კანდიდატები: არჩილ საბიაშვილი (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), ზურაბ ჯირკველიშვილი (კოალიცია „ქართული ოცნება“), მამუკა ნოზაძე (ბლოკი „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“) და გიული მუკნიაშვილი („მშრომელთა საბჭო“); აგრეთვე გორის გამგებლობის და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები.

გადაცემების თემა კანდიდატების საარჩევნო პროგრამები და საარჩევნო დაპირებები იყო.

წამყვანი, გადაცემის დასაწყისში, სტუმრებს საშუალებას აძლევდა მაყურებლისთვის საარჩევნო პროგრამა გაეცნოთ. შემდეგ კი ინტერესდებოდა თუ რით განსხვავდებოდა მათი პროგრამა სხვებისგან და რა საშუალებებით გეგმავდნენ წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას.

ჟურნალისტი კრიტიკულ კითხვებს ნაკლებად სვამდა, ის მშრალი კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა და თემების დეტალებით ნაკლებად ინტერესდებოდა. წამყვანი მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა და ცდილობდა სტუდიაში მყოფი სტუმრებისთვის დრო თანაბრად გაენაწილებინა და თუ სტუმრები ერთმანეთს საუბარს არ აცლიდნენ, ცდილობდა ოპონენტს მოსაუბრისთვის ხელი არ შეეშალა.

სპეციალურ რუბრიკაში „ამომრჩევლის ხმა“, რომელიც წინასწარ იყო მომზადებული, ეთერში მოქალაქეების შეკითხვები გადიოდა, რომლებზეც კანდიდატებს უნდა ეპასუხათ.

### **ტელეჟურნალი „მრავალკუთხედი“**

„საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ ყოველკვირეული ტელეჟურნალი „მრავალკუთხედი“ კვირაში ერთხელ, სხვადასხვა დროს ეთერში შემდეგ არხებზე გადიოდა: „ქვემო ქართლის ტელეკომპანია“, „თანამგზავრი“, „ოდიში“ , „გურია“, „მეცხრე ტალღა“ „რიონი“, „25-ე არხი“, „იმერვიზია“, „გურჯაანი“ , „მეცხრე არხი“, „მარნეული ტვ“, „არგო“, „ბორჯომი“, „დია“.

მონიტორინგის ქვეშ ტელეჟურნალის 5 გამოშვება მოექცა. გადაცემებს ჟურნალისტი ნიკოლოზ რუბაშვილი უძღვებოდა. ტელეჟურნალი თემატურად მრავალფეროვანი იყო. სიუჟეტები სხვადასხვა რეგიონების თემებს მოიცავდა. ხოლო წარმოდგენილი მასალა დაბალანსებულად, მიუკერძოებლად და სიღრმისეულად იყო მომზადებული. გაშუქდა როგორც საარჩევნო, ასევე სხვა თემებზე მომზადებული სიუჟეტები.

მონიტორინგის პერიოდის გადაცემების ფორმატი განსხვავებული იყო. დაახლოებით 35-45 წუთიან გამოშვებებში მხოლოდ სიუჟეტები გავიდა და სტუმრები მიწვეული არ ჰყოლიათ. რამდენიმე გადაცემა კი ორი ნაწილისგან შედგებოდა და სიუჟეტებთან ერთად დრო სტუდიაში მიწვეულ სტუმრებსაც ეთმობოდათ. გადაცემების მსვლელობისას წამყვანი სვამდა კითხვებს, აზუსტებდა მიღებულ პასუხებს; იყო ნეიტრალური და მიუკერძოებელი. ის მომზადებული იყო, კარგად იცნობდა განსახილველ თემებს. სტუმრებს საუბრისთვის დრო თანაბრად ეთმობოდათ.

\*\*\*

მონიტორინგის პერიოდში რეგიონული ტელეკომპანიების ეთერი „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ მიერ საქართველოში ამერიკის ელჩთან, რიჩარდ ნორლანდთან ჩაწერილ ინტერვიუს დაეთმო.

ტელეკომპანიებმა: „თანამგზავრი“, „ბორჯომი“, „მე-9 ტალღა“, „ქვემო ქართლის ტელეკომპანია“, „რიონი“, „არგო“, „დია“, „ოდიში“- ინტერვიუ სრული სახით საინფორმაციო გამოშვებებში გაუშვეს. შესაბამისად, იგი ამ არხების მონიტორინგის რაოდენობრივ მონაცემებშიც აისახა.

ტელეკომპანიებმა „მარნეული ტვ“ და „გურჯაანმა“ ინტერვიუს დრო ცალკე დაუთმეს.

დაახლოებით 12 წუთიანი ინტერვიუს ჟურნალისტი ნიკოლოზ რუბაშვილი უძღვებოდა. იგი ელჩს წინასწარ მომზადებულ კითხვებს უსვამდა. რიჩარდ ნორლანდმა წინასაარჩევნო გარემო და თვითმმართველობის რეფორმა შეაფასა. ისაუბრა მომავალში გასატარებელ რეფორმებსა და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელობაზე.

\*\*\*

საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიების „ოდიში“ (13 ივნისი) და „მე-9 ტალღა“ (14 ივნისი) ეთერში გადაცემა „ქალი და პოლიტიკა“ გავიდა, რომელიც ასოციაცია „დეას“ პროექტის „ქალების პოლიტიკური უფლებების დაცვის ხელშეწყობა სამეგრელოს რეგიონში“, ფარგლებში მომზადდა. თემა საარჩევნო სისტემებში ქალთა ჩართულობას შეეხებოდა. მას ივეტა წითაშვილი უძღვებოდა. წამყვანის შესავლის ტექსტი საკითხის ირგვლივ ამომწურავ ინფორმაციას იძლეოდა. გადაცემაში მიწვეულები იყვნენ მხოლოდ ქალბატონები, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობაზე საუბრობდნენ, დეტალურად განმარტავდნენ საკანონმდებლო რეგულაციების და ზოგადად, საკითხის ირგვლივ არსებულ პრობლემებს.



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



Global Expertise. Local Solutions.  
Sustainable Democracy.

*ანგარიში შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია „ინტერნიუსი-საქართველო“ და იგი შესაძლოა არ ასახავდეს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.*